საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერ

პარასკევი, 5 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ერთი დღის 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე ერთი სტრიქონის 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი შრიფტის 15×2 სტრიქონი მეტიტ. 100 მანეთი. ხელის განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: კრუზენშტერნის ქ. 4, [illegible] ქუჩის მე-18-თან ტელეფონი 16—62

№ 5

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი ნოე ბესარიონის ძე, მარო ქაიხოსროს ასული, ბენიკო და კაკი ნოეს ძენი რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის საყვარელი მამის, მეორის მამამთილის, და უკანასკნელთა ბაბუას

ბესარიონ (ბესო) მახარობელის ძე რამიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 7 მარტს, სოფელ ქვემო სურებში. მისივე გვერდით იმავე დღეს დაიკრძალება ამას წინეთ თფილისში გარდაცვალებული მისი საყვარელი შვილი ანთიმოზი (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ნოე ბესარიონის ძე, რძალი მარო ქაიხოსროს ასული და ძმისწულები ბენიკო და კაკი ნოეს ძენი რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ დღეს, პარასკევს, 5 მარტს, საღამოს 5 საათზე, კუკიის (წმ. ნინოს) სასაფლაოდან მოხდება გასვენება თფილისის სადგურზე საყვარელი

ანთიმოზ ბესარიონის ძე რამიშვილისა

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება კვირას. 7 მარტს, სოფელ ქვემო სურებში, ახლად გარდაცვალებულ მამის ბესარიონ (ბესო) რამიშვილის გვერდით. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მაკა ნიკოლოზის ასული, ვასილ, დავით, ისიდორე და იაკობ ბესარიონის ძენი, კალინე, ოლღა, მარუსია და ლიდა რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ქმრის, მეორენი მამის, უკანასკნელნი მამამთილის

ბესარიონ (ბესო) მახარობელის ძე რამიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 7 მარტს, სოფელ ქვემო სურებში. მისივე გვერდით ამავე დღეს დაიკრძალება ამას წინათ თფილისში გარდაცვალებული მისი საყვარელი შვილი ანთიმოზი. (ნ. 1—1)

გრ. ტ. გიორგაძე ოჯახობით და ხარა და რუბენ ტ. გიორგაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი დედა მათი

იგრუხტი მერაბის ასული გიორგაძისა

გასვენება სადგურზე ორშაბათს საღამოს 5 საათზე ინჟინრის ქუჩიდან, სახლი № 4; დაკრძალვა ქუთაისში შაბათს, 6 მარტს, დილის 10 საათზე. (829 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი გიორგი ყარამანის ძე მგელაძე და შვილი ვალოდია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 მარტს ბათუმში ხანგრძლივ და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორესი დედა

ოლია

დასაფლავება მოხდება შაბათს, 6 მარტს ქ. ქუთაისში. (826 1—1)

გულდაწყვეტილნი: სეფიფორა გიორგის ასული, ვერა (პასტა) ტარიელის ასული და ბეგლარ ასლანის ძე მგელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასის რძლის

ოლია გრიგოლის ასულის მგელაძისას

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში შაბათს 6 ამა მარტს. (827 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ძმები ალექსი და სამსონ, რძალი მართა, ძმის შვილები ილიკო, ვანო, კუკური და შუშანა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სერაპიონ მაქსიმეს ძე თოხაძის

გარდაცვალებას სოფ. აკეთში (გურია), დაკრძალვა მოხდება იქვე შაბათს 6 მარტს. (828 1—1)

უბედური მამა კონსტანტინე ენუქის ძე, დები ლიუდმილა და ალექსანდრა, ძმები სიმონი და კირიონი უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოასალმა მათ მათთვის დაუვიწყარი ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ნიგოითში, კვირას, შვიდ მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. (835 —1)

ბათუმის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რომ პირველ მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ს. ნიგოითში გარდაიცვალა ბათუმის ქართული გიმნაზიის ინსპექტორი

დავით კონსტანტინეს ძე კალანდარაშვილი

(834—1—1)

სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობა იწვევს წევრთა

სალიკვიდაციო კრებას

კვირას 7 მარტს 1920 წ. ქალ. თვითმართველობის დარბაზში, დილის 11 საათზე; უკეთუ კრება არ შესდგა, მეორე კრება გაიხსნება 12 საათზე, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

დღის წესრიგი:
1) გამგეობის მოხსენება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) ლიკვიდაცია. (833—1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება

იწვევს მსურველს სარაიონო კომისიის მდივნად ბორჩალოს რაიონში. მსურველთ ექნებათ ძირითადი ჯამაგირი 3000 მან. პროც. დამატებით. თხოვნაში აღნიშნულ უნდა იყოს: 1) რა განათლებისაა (ცენზი), 2) წინანდელი სამსახური და 3) პრაქტიკა. ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები. სასურველია ცოდნა თათრული ან სომხური ენის. (ნ. 2—2)

---

16 მარტისთვის ქ. თფილისში, მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების და ერობების მუშა-მოსამსახურეების წარმომადგენლების

ყრილობა

ყრილობა გაიხსნება საღამოს 6 საათ. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. დელეგატები უნდა გამოცხადდენ ქალ. თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეების კავშირში ქ. თვითმართველობაში.

(826—3—1) საორგანიზაციო კომიტეტი.

იყიდება

ბუღალტერია

სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ს. ტიტუაშვილისა.

თხზულება

I ტ. ს. გლახაშვილისა წერა-კითხვის საზოგ. მაღაზიაში რუსთაველის ქ. 9. (821—2—1)

ექიმი ბ. ი. ოქრობერიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.)

თუ გინდა რამე იცის

ოდესაში დენიკინის მიერ დატუსაღებულ

ევსევი ჩიქვანიას

შესახებ ვთხოვთ ყველას ღია ბარათით მაცნობოთ დ. ნოღაძეში გულდამწვარ დედას ქსენია ჩიქვანიას. (729—6—4)

ხან-ხოელის აზრი ბათუმის შესახებ

ამას წინათ ჩვენ გავარჩიეთ ის პოზიცია, რომელზედაც დგას ბაქოს გაზეთი „აზერბეიჯანი" ბათუმის საკითხში, და ჩვენ იმედი გამოვთქვით, რომ ეს წმინდა იმპერიალისტური და დაუფარავად მტაცებლური პოლიტიკა არ არის გამოხატულება აზერბეიჯანის მმართველ წრეების აზრისა. სამწუხაროდ ეს ჩვენი იმედი ლამის არის გაცრუვდეს. დღეს ჩვენს ხელთ არის უკვე ორი დოკუმენტი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ აზრი შევადგინოთ აზერბეიჯანის რესპუბლიკის მმართველ წრეებში გავრცელებულ შეხედულებაზე ბათუმის საკითხზე. ეს დოკუმენტები გახლავთ ნალაპარაკევი აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხან-ხოელისა და აზერბეიჯანის წარმომადგენლის საქართველოში ბ. ვექილოვისა. აზრი ორივე ამ ოფიციალური პირისა სრულებით ერთნაირია და მათი პოზიცია ბათუმის საკითხში, სამწუხაროდ, არაფრით არ განსხვავდება იმ პოზიციისაგან, რომელიც წამოყენებული იყო გაზ. „აზერბეიჯანის" მიერ.

ბათუმ-აჭარის საკითხს, ისე როგორც ყოველს ამნაირს საკითხებს, მრავალი მხარე აქვს. იგი მრავალ სახელმწიფოთა და მრავალ ერთა ინტერესებს ეხება. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უპირველესყოვლისა უნდა მოვისმინოთ თვით ამ დიდი მხარის მცხოვრებთა აზრი, რომელსაც აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. რას მოითხოვს თვით ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესები?—აი რა უნდა ვიკითხოთ პირველ ალაგას, თუ გვინდა ეს საქმე მოვაგვაროთ არა მტაცებლურად, არა ძალდატანებით, არამედ სამართლიანობის მიხედვით. რას უკარნახებს თვით ბათუმ-აჭარის მცხოვრებთ მათი პოლიტიკური, ეკონომიური, ეთნოგრაფიული, კულტურული, ისტორიული, გეოგრაფიული ინტერესები,—ეს ყველაზე უკეთესად თვით ამ მცხოვრებთ აქვთ შეგნებული და მათი სიტყვა პირველ რიგში უნდა იყოს მოსმენილი. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სხვადასხვა სახელმწიფოების უფლებებზე გადასვლა და მათი შედარებითი აწონ-დაწონვა. საქართველოს უფლებები ბათუმ-აჭარაზე ისე უდავოა, მისი უბათუმ-უაჭაროთ არსებობა ისე წარმოუდგენელია, რომ ჩვენ ამ მხრივ წარბშეუხრელად შეგვიძლიან წარვდგეთ ყოველ სასტიკ სამსჯავროს წინაშე და მშვიდობიანად დავამტკიცოთ, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომლისთვისაც ბათუმ-აჭარის დაპატრონებითაც კი ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც საქართველოსთვის. მაგრამ ჩვენ განზრახ არ გვინდა დღეს ამ ჩვენს უდავო უფლებებზე ლაპარაკი. ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ გამოვამჟღავნოთ მხოლოდ ის მტაცებლურ-იმპერიალისტური სულის კვეთება, რომელიც სარჩულად უდევს იმნაირ პოზიციას, რომელზედაც დამდგარა აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი.

იგივე, როგორც გაზეთი „აზერბეიჯანი", ისევე როგორც აზერბეიჯანის წარმომადგენელი საქართველოში ბ. ვექილოვი, ხან-ხოელი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს, თუ რას მოითხოვს ბათუმის საკითხის გადაწყვეტის დროს აზერბეიჯანის სარგებლობა, და არც ერთი სიტყვით არ იხსენიებს იმას, თუ რას მოითხოვს თვით ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა ინტერესები. თვით აზერბეიჯანის სარგებლობაც ამ რესპუბლიკის მინისტრს ისევე ვიწრო და მერკანტილურად ესმის, როგორც გაზ. „აზერბეიჯანს". იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ საბუთებს, რომლებიც პირველ ალაგას აქვს წამოყენებული გაზ. „აზერბეიჯანს", და ამ მოტივებს მინისტრულ გადამჭრელ მნიშვნელობას აწერს:

„ბათუმი საბოლოო პუნქტია იმ გზისა, რომელიც ჩვენ ერთად ერთ საშუალებას გვაძლევს ევროპასთან ურთიერთობისას, ეს კიდევ ცოტაა, აქ არის საბოლოო პუნქტი ნავთ-სადენისა, ამ მთავარ ძარღვის ჩვენი საქონლის გაცვლა გამოცვლისა". „ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად ჩვენის მთავრობის პოლიტიკას ბათუმის საკითხში", დაასკვნის ბ. მინისტრი.

ამნაირად, მთელი თავისი პოლიტიკა ბათუმის საკითხში აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა და, მისივე სიტყვით, აზერბეიჯანის მთავრობამ დაუქვემდებარა ნავთის გაზიდვის საკითხს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზერბეიჯანის პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად უნდათ გადააქციონ ნავთის მრეწველობის ინტერესები; ნავთის მრეწველ კაპიტალისტების სარგებლობა, მათი გამდიდრება აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია ისე დიდ მიზნად, რომ მას უნდა დაუქვემდებაროს აზერბეიჯანთან ისე დაშორებულ ქვეყნის მცხოვრებთა ბედი, როგორც არის ბათუმ-აჭარა. ამ მცხოვრებთა ეკონომიური, პოლიტიკური, ეთნოგრაფიული, კულტურული, ისტორიული—ყველა ინტერესები არ ყოფილა სახეში მისაღები ისეთ მაღალ მიზნის წინაშე, როგორიც არის ბაქოს ნავთის მრეწველთა სარგებლობა!

მართალია, ნავთის მრეწველობას თვით აზერბეიჯანისთვისაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სრულიად მიუღებელია ასე დაყენება იმისთანა დიდი პოლიტიკური საკითხისა, როგორიც ბათუმ-აჭარის საკითხია; სრულიად შეუწყნარებელია რომელიმე რესპუბლიკის „საქონლის გაცვლა-გამოცვლის" მიზნებისათვის სათამაშოდ გადააქციოთ ბათუმ-აჭარის თითქმის 200,000 მცხოვრების ბედი. წინათაც გვითქვამს და ვიმეორებთ: ამნაირად საკითხის დაყენება ნაკარნახევია დაუფარავად იმპერიალიზმით და მტაცებლურ სულისკვეთებით.

აზერბეიჯანის მინისტრი დარწმუნებულია, რომ ბათუმ-აჭარის საკითხში „საქმე არ იქნება დიდი ჯაფა ისეთ შეთანხმების მისაღწევად, რომელიც ერთნაირად დააკმაყოფილებს ყველა დაინტერესებულ მხარეებს". ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ სულ ადვილი იქნება შეთანხმებული გზის პოვნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბათუმის პორტთან დაკავშირებულ ეკონომიურ ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ეს შეთანხმება მით უფრო ადვილი იქნება, რაც უფრო უდავოთ გახდიან ჩვენი მეზობლები ამ საკითხის პოლიტიკურ მხარეებს. თვით ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა ყველა ინტერესები მძლავრად მოითხოვენ საქართველოსთან პოლიტიკურად გაერთიანებას. რაც შეეხება თვით საქართველოს, ბათუმ-აჭარასთან შეერთებულია მისი ისეთი ინტერესები, რომლებთანაც „ნავთსადენის" და „საქონლის გაცვლა-გამოცვლის" შედარება პირდაპირ სასაცილო იქნებოდა. ეკონომიური მერკანტილური ინტერესების მხრივ თუ დავიწყებთ ლაპარაკს, საქართველო აზერბეიჯანზე ათჯერ უფრო მეტად დაინტერესებულია. მაგრამ მას, გარდა უდიდეს ეკონომიურ ინტერესებისა, ბათუმის საკითხის გადაწყვეტის დროს ამოძრავებს ისეთი სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც ვერც სასწორზე აიწონება, ვერც ფულზე გადაფასდება: ეს ინტერესები წარმოშობილია ქართველ ერის ეროვნულ მთლიანობით, აჭარელის და ქართველის ეროვნულ განუყოფლობით, იმ ისტორიულ ჯაჭვებით, რომელიც ათეულ საუკუნეთა განმავლობაში გაჭედილია და რომელსაც გადაჭრას ვერავინ მოახერხებს.

დედა-საქართველო თავის შვილისკენ ილტვის, შვილიც თავის დედას ხელებს უწვდის. და ვის აქვს უფლება მათ შუა ჩადგეს!

უტიფარი ოპოზიცია

არც ერთ ქვეყანაში სოციალ-დემოკრატია არ ყოფილა ისეთი უზადრუკი, უსუსური, პოლიტიკურად გაუწვრთნელი, მაღალ იდეებს და ინტელიგენტუალობას მოკლებულ ოპოზიციის ამარა, როგორც ეს იყო და არის ჩვენში. ჩვენი ოპოზიცია, მოკლებული სათანადო შეგნებას, მუდამ წვრილმან, უმეტესათ პირად კინკლაობაში, იყო ჩაფლული და მით აწვრილმანებდა და არარაობად ხდიდა ყველა იმ დავას, რომელიც თავს იჩენდა ხოლმე ამა თუ იმ საკითხის გარშემო. მათი ოპოზიციონური ზნე და ჩვეულება იმდენათ მახინჯი და შეუწყნარებელი იყო, რომ იძულებულს გვხდიდა და ხშირათ ზიზღით გვერდი აგვევლო. მიზეზი ჩვენი ოპოზიციის ასეთი დაქვეითებისა და დაკნინებისა, უნდა ვეძიოთ ჩვენი ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობაში. ამას აქვს, რასაკვირველია, თავის გასამართლებელი საბუთები, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება. ამან აიძულა ირ. წერეთელი ეთქვა: ჩვენი ოპოზიცია იმდენათ მახინჯია, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა და ლაპარაკი დამცირებული გვეჩვენება. და მართლაც, ეს „დამცირებული ბრძოლა" მეტად მძიმე და აუტანელია. ასეთი ბრძოლა ასუსტებს და აქვეითებს პოზიციაზე მდგომსაც და მის შემდეგსაც: შენც წახდი—მეც წამახდინე.

პარლამენტის დროს ასეთ ოპოზიციას, უმთავრესათ, ნაციონალ-დემოკრატები აწარმოებდენ და კიდევაც შესაფერი სახელი მოიხვეჭეს. დამფ. კრებაში ბ. ვეშაპელის დაფნის გვირგვინი ესერებმა მიისაკუთრეს და დღემდის მათ არავინ ეცილებოდა. დღეს, როგორც სჩანს, შური და სიხარბეს თავისი გაუტანია და ამ „ბრწყინვალე ოპოზიციას" გვერდში ამოუდგა ფედერალისტთა ფრაქცია და მედგარი იერიში მიიტანეს შინაგან საქმეთა სამინისტროზე.

კრიტიკა სამინისტროს და მისი მეთაურის, რა თქმა უნდა, თუ საჭიროა და საფუძვლიანი თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესი და სიყვარული. ოპოზიციის მოვალეობა და დანიშნულებაც სწორედ ამაშია, მაგრამ როცა ოპოზიცია გამოწვეულია პირადი გრძნობებით, უწყების თუ მისი მეთაურის სიძულვილით, ეს ისეთი უტიფრობაა, რომელიც მხოლოდ ზიზღის ღირსია.

ამ უტიფარი ოპოზიციის სულის ჩამდგმელი დღემდის იყო ესერების ფრაქცია ბ. შენგელაიას მეთაურობით. ერთი რუსი კრიტიკოსი სწერდა: პუშკინი იმით იყო დიდი კაცი, რომ მასზე ამდენს სწერენო. უდიდესი ბოდიში უკვდავი პოეტის წინაშე, რომ ის ბ. შენგელაიასთან ერთად ვახსენეთ, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ბ. შენგელაია იმით არის „დიდი კაცი", რომ მასზე ამდენს ლაპარაკობენ. მას სწორედ ეს უნდა, რადგან ის ამაში ხედავს თავის პიროვნების ამაღლებას. ის ეძებს და იყენებს ყოველგვარ საშუალებას, აიძულოს მოწინააღმდეგე გამოეკამათოს, და მისი გვარი ახსენოს. ამის გაგონებით ის მედიდურათ გადახედავს თავის ამხანაგებს და კმაყოფილი ჩაიცინებს ხოლმე.

არა ნაკლები სიინტერესოა ფედერალისტების ამგვარივე ტიპის დეპუტატი ბ. შ. ნუცუბიძე. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბ. ნუცუბიძე პროფესორის სახელს ატარებს, თუმცა ამ საპატიო პროფესიაზე არა ნაკლები უფლება აქვს ბ. შენგელაიასაც, თუ კი ბ. ნუცუბიძე პროფესორია, ბ. შენგელაია პრივატ-დოცენტად მაინც გამოდგება. როცა ბ. ნუცუბიძე ლაპარაკობს, გავიწყდებათ საგანი მისი ლაპარაკისა და თქვენ გიპყრობთ მწარე ფიქრები, რომელიც ერთიანად ჩვენი უნივერსიტეტის გარშემო ტრიალებენ და ფიქრობთ, რა უნდა იყოს ის უნივერსიტეტი, სადაც ასეთი ტიპები პროფესორობენ! რა პატივი და სიყვარული უნდა ჰქონდეთ იმ დაწესებულებისა, რომელიც ითმენს, იტევს და პროფესორის სახელსაც აკუთვნებს ასეთ ადამიანს, რომელსაც იმდენი პატივისცემაც კი არ აქვს თავის მდგომარეობის რომ შესაფერი კილო მაინც შეითვისოს! ეს ურიკანა დეპუტატი და მეტიჩარა „პროფესორი" ფრიად დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დაკნინებისა და სისუსტისა.

როგორც ყორნები შორიდან იგრძნობენ ლეშის სუნს, ისე ჩვენი ფედერალისტები შორიდან გრძნობენ ბოლშევიკების მოახლოვებას და რომ „გაიმარჯვებენ" მათ თვალში, ამ თავითვე შეუდგენ „მემარცხენეობის" დაჩემებას. ამ ვითომდა „მემარცხენეობის" დიპლომის მიღება კი შესაძლებელია მათი აზრით სოციალ-დემოკრატიის ლანძღვა-თრევით და აი კიდევაც აიკიდეს ჭორის გუდა და გლახა მესაზანდრესავით ბუზღუნობენ ტრიბუნაზე თუ ქუჩაზე. მათ გონიათ, რომ ამ ჰამპულასებური იერიშებით ისინი იმდენათ შეარყევენ მენშევიკების სიმტკიცეს და სიძლიერეს, რომ ბოლშევიკებისათვის ძნელი აღარ იქნება ჩვენი ციხე-სიმაგრის აღება. ამაში კი ისინი მეტად დაინტერესებულნი არიან. ტყუილათ კი არ სთქვა ერთხელ ბ. შ. ნუცუბიძემ: ბოლშევიკები ის ძალაა, რომელიც შეანგრევს მენშევიკების კედელს და მათ ჩვენ შემოვყვებით უკანო. და აი ფედერალისტებს ალბათ გონიათ, რომ ახლოვდება მათი „უკან შეყოლის" მომენტი და ამიტომ არის, რომ ასეთი უტიფარი თავდასხმა გააჩინეს. მაგრამ ასეთი იმედი არა ერთხელ გაცრუებიათ მათ და დარწმუნებული ვართ არც ახლა გაუმართლდებათ.

განი.

პასუხი ორ სტუდენტ-ჯარისკაცს

ვასრულებ თქვენს თხოვნას და გაგიზიარებთ ჩემს შეხედულებას თქვენი ჩემდამი მომართული წერილის შესახებ.

თქვენ მწერთ: ინტელიგენციას და განსაკუთრებით სტუდენტობას არასოდეს არ უღალატნია სამშობლოსათვის და ყოველ გაჭირვების დროს იარაღით ხელში ჩამდგარა მებრძოლთა პირველ რიგში.

სამშობლოს განთავისუფლების -მირ

დღეს

ამერიკული ცნობით რკინის გზელთა გაფიცვამ პარიზში პირველ მოთხოვნილების საგნების გაძვირება გამოიწვია.

რკინის გზელთა გაფიცვა საფრანგეთში შეთანხმებით დასრულდა.

ფრანგული პრესის ცნობით ოსმალეთთან საბოლოო საზავო ხელშეკრულება დადებულ იქნება პარიზში და არა ლონდონში.

სტამბოლში საფრანგეთი ჯარსა გზავნის.

სიძვირესთან ბრძოლის მიზნით მოკავშირე სახელმწიფოებს აზრათ აქვთ საქონლის შეთანხმებით შესყიდვა, რათა ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მოსპონ მეტოქეობა.

გენ. იუდენიჩმა თავისი შტაბით დასტოვა ესტონეთის ტერიტორია.

ბოლშევიკების ცნობით ლიტვინოვი და ინგლისის წარმომადგენელი შეთანხმდნენ სამოქალაქო და სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხში.

ველ ხანებში, როდესაც ჩვენს წინ წამოიჭრა ოსმალეთის საფრთხე, სტუდენტობამ მართლაც ბრწყინვალეთ, გაბედულებით მოჰკიდა იარაღს ხელი, მაგრამ სამწუხაროთ ეს გატაცება მალე მინელდა. იგი ისეთი მომენტები, როდესაც ჩვენს ინტელიგენციას ყოველისფერი უნდა დაავიწყდეს და ერთის აზრით გამსჭვალულიყო, ერთის გრძნობით შეპყრობილიყო. სამშობლოს ბედ-იღბალის წყურვილს უნდა დაემორჩილებინა მთელი მისი არსება, ტვინი, გულიცა, ყველა მასში უწმინდესი და უკეთილშობილესი გრძნობანი; ის სიხარულით უნდა შესწირვოდა ყოველგვარ მსხვერპლს.

ეს ჩვენში, სამწუხაროთ და ჩვენდა სავალალოთ, არ მომხდარა, უნდა მომხდარიყო კი.

მე მესმის მინანი! დავაგდოთ ცოლშვილი და ვიხსნათ სამშობლოო.

მე მესმის ძველი ქართველების ქალები, რომლებმაც არა თუ ძვირფას სამკაულებს სწირავდენ სამშობლოს გადასარჩენათ, ნაწნავებს იჭრიდენ ხომალდის თოკებს საკეთებლათ. აი აქ არის მომქმედი, საქმიანი, გატაცებული, ნამდვილი სიყვარული.

ჩვენმა ინტელიგენციამ ეს ვერ გამოიჩინა.

ჩვენს ნორჩ ჯარში სტუდენტობა ძალიან ცოტაა.

რატომ?

იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი ყალბი მოწმობის წყალობით ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი გამოდგა!

და მე თქვენ გეკითხებით, ღალატია თუ არა ეს სამშობლოსი?

ღალატია, საშინელი, სამარცხვინო ღალატი!

„რაც შეეხება დღევანდელ პირობებს, ჩვენი სამშობლოსათვის საფრთხე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, თუ საშველით არა, დროებით მაინც"-ო, ვკითხულობ თქვენს წერილში.

ახალგაზრდური გამოუცდელობით მოგდით ეს.

საკმარისია, გაზეთის ტელეგრამებს გადაავლოთ თვალი, რომ დარწმუნდეთ თქვენი აზრის სრულ უნიადაგობაში.

ჩვენ რევოლუციის პროცესში ვცხოვრობთ. ევროპის დიდი ნაწილი რევოლუციის ხანძრით სწვავს, სახოგადოებრივი მდგომარეობა საგრძნობლათ არის შერყეული და ეს ასეც უნდა იყოს.

როგორ გგონიათ, მოსალოდნელია, რომ ყოველივე ეს მალე დაწყნარდეს და ცხოვრება ყველგან ჩადგეს წყნარ კალაპოტში?

რასაკვირველია არა.

ევროპის დამშვიდებას ჯერ კიდევ დიდი დრო უნდა.

ჩვენ ხომ ცალკე კუნძულზე არა ვცხოვრობთ; როგორც პატარა და ეკონომიურათ ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელიც ჯერ ახლა დადგა საკუთარ ფეხზე, ჩვენ მჭიდროთ ვართ შეკავშირებული ევროპასთან და ამიტომ, სანამ ის არ დაწყნარებულა, რა უფლება გვაქვს, ვიფიქროთ; ჩვენი საფრთხე გადაწყვეტილიაო?

ჩვენ აზიისა და ევროპის საზღვარზე ვიმყოფებით ოსმალეთი ჩვენი მეზობელია.

კარგათ ჩაუკვირდით, რა ხდება ახლა აქ, როგორი მოძრაობაა ოსმალეთში, რა არის მოსალოდნელი, და მაშინ დაეკითხეთ თქვენს თავს, გადაწყვეტილია საფრთხე?

გაიხედეთ რუსეთისაკენ; სამოქალაქო ომს იქ შენელებაც კი არ ეტყობა.

ერთის მხრით ბოლშევიზმი ჩრდილოეთიდან და მეორე მხრით პანთურქიზმი სამხრეთიდან.

დაუკვირდით კარგათ: ორივე ერთიმეორეს უწვდის ხელს და ჩვენ კი შუაში ვართ. თუ მათ მართლა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს მაშინ, ჩვენი განადგურება შეიძლება.

თქვენ კი მგონიათ: საფრთხე გადაწყვეტილია!

თავისუფლება ვისა რგებია ასე ადვილათ და იოლათ, რომ ჩვენისთანა პატარა და საშინელ გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრებ ერს ერგოს?

პირიქით, განსაკუთრებული სიფრთხილე სწორეთ ახლა გვმართებს და მუდამ მზათ უნდა ვიყოთ:

ჩვენი ერთად ერთი ხსნა რიგიანი, გაწვრთნილი, შეგნებული, შეკავშირებული და ერთის რწმენით გამსჭვალული შეიარაღებული ძალაა.

სხვები სწავლობენ, ჩვენა ვცდებით, შემდეგ სულ თავიდან უნდა დავიწყოთ და ამისთანა პირობების წინაშე დემოსთენიც დაიჩოქებდაო.

ძალიან სცდებით, მეგობრებო, დემოსთენს ტყუილად აყენებთ შეურაცხყოფას.

როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო, მაშინ დემოსთენი საკუთარ თავზე არა ჰფიქრობდა და არც იჩოქებდა: ის იბრძოდა და სხვასაც საბრძოლველათ იწვევდა; ის იწვოდა წმინდა ცეცხლით და სხვებსაც სწვავდა.

რას მიქვია ორი და სამი წლის დაკარგვა თქვენს წლოვანებაში, როდესაც ეს ორი-სამი წელიწადი დიდ მიზანსა და დიდებულ საქმეს ხმარდება?

განა ის დრო, როდესაც თქვენ სამშობლოს ემსახურებით, დაკარგულათ უნდა ჩასთვალოთ?

არასოდეს!

შესაძლებელია, ან ასი წელიწადი, იცოცხლოთ და იცხოვროთ, მაგრამ ამაზედ უფრო საამაყო წლები კი არ გამოერევა თქვენს ცხოვრებაში.

და თუ ყალბი მოწმობების წყალობით დღეს სწავლობენ ისინი, ვინც იარაღით ხელში თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას უნდა ასრულებდეს, სირცხვილი და ზიზღი.

თქვენ ბედნიერები ხართ, რომ იმათ რიცხვს არ ეკუთვნით.

მოიხადეთ პირნათლათ თქვენს ვალს სამშობლოს წინაშე და შემდეგ უფრო ტკბილი იქნება სწავლა.

სწავლას ყოველთვის მოასწრებთ, თუ კი სურვილი გექნებათ, მაგრამ თუ ჩვენ დღეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ვერ შევინარჩუნეთ, ვინ იცის, მოვიპოვებთ კიდევ როდისმე?

სტუდენტების სამსახური ჯარში სწავლის გათავების შემდეგ უნდა იყოს გადადებული, მწერთ თქვენ.

დღეს ჩვენ გვჭირია თუ არა ჯარი?

გვჭირია კი არა—ჯარი ჩვენი ერთად ერთი იმედია—გვარდიასთან შეერთებული. ჩვენისთანა პატარა ერი ვერავითარ ჯარს ვერ შექმნის, თუ სხვადასხვა შეღავათი იქნა შემოღებული კაცი რომ სწავლას დაამთავრებს, ის ჯარისკაცათ აღარ გამოდგება, გარდა იშვიათი და არაჩვეულებრივი შემთხვევისა.

სამშობლო განსაცდელშია, ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხი წყდება, მარადიობის წინაშე ვდგევართ.

როდის უნდა იფეთქოს ახალგაზრდობის გატაცებამ, თავდადებამ, თუ არა დღეს?

თქვენ კი ასეთი გატაცების მაგიერ, მწერთ: „ამ პირობებში, ჩვენ გვგონია, დანაშაულით უნდა ჩაითვალოს ჩვენი პირდაპირი მოვალეობისაგან მოწყვეტა". ყოველი ჩვენი ახალგაზრდის პირდაპირი მოვალეობა დღეს ის არის, რომ იარაღით ხელში დემოკრატიულ რესპუბლიკას ემსახუროს.

ვინც ამას არ ასრულებს სხვად სხვა ყალბი მოწმობის წყალობით, ის სამარცხვინო ბოძზე თქვენვე უნდა გააკრათ.

თქვენ კი იმათ მდგომარეობას შენატრით.

თქვენს მომავალს შეიძლება ის კი არ უშლის, რომ დღეს ჯარისკაცათ ხართ, არამედ ის მტრები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ [illegible] მოეფუროვეთ სამშობლოს სრული გამარჯვება და მაშინ, გარწმუნებთ, თქვენი მომავალიც სრულებით უზრუნველყოფილი იქნება.

როდესაც თქვენ ვალმოხდილი ხმალს და თოფს გვერდზე მიდებთ და ისევ მეცნიერებას დაუბრუნდებით, სწავლაც უფრო ტკბილი და სასახელო იქნება თქვენთვის.

წელიწად და რვა თვეზე ლაპარაკი სირცხვილია მაშინ, როდესაც ეროვნული, სასიცოცხლო საქმე წყდება.

სტუდენტების ყოფნას ჯარში სხვა აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, როდესაც ჩვენი [illegible] ჯარის კაცი ჰხედავს, რომ იმის გვერდით იმავე საქმეს სამშობლოს დაცვისას სტუდენტობაც მასავით ემსახურება,—მისი გონება ვითარდება, შეგნება იზრდება და ყოველივე ეს კი ხელს უწყობს რესპუბლიკის ნამდვილი ჯარის კაცის ჩამოყალიბებას.

სხვა რომ არა იყოს რა, უკმაყოფილებას მაინც აღარ ექნება ადგილი, ყველაფერი ჩვენ კისერზეა, სოფლის ყრუ ხალხის კისერზე, თორემ ნასწავლები თავს შველიანო.

აი ასეთი სამართლიანი უკმაყოფილება და შეუგნებლობა ასაზრდოებს სხვათა შორის დეზერტირობას.

ლექციებზე სიარულის საშუალება უნდა მოგვეცეს მაინც, ამბობთ თქვენ. ორ ღმერთს ვერავინ ემსახურება. ლექციებზე სიარული სისტემატიურათ და ჯარისკაცობაც ერთათ შეუძლებელია: ან ერთი საქმე გაფუჭდება, ან მეორე.

რას იტყოდით სოფლელ უწიგნურ ჯარის კაცზე, მას რომ ეთხოვა: ვენახის და ყანების დასამუშავებლათ მაინც გამიშვით ხოლმე სახლშიო.

თქვენი მოთხოვნაც ხომ ამგვარი შინაარსისაა!

იგ. გომართელი.

დამფუძნებელი კრება

2 მარტის სხდომა

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

(გაგრძელება)

გრძელდება მსჯელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატების შესახებ.

პ. საყვარელიძე (ს. დ.) აქ გუშინ გამოვიდნენ ოპოზიციის წარმომადგენელნი და გააკრიტიკეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობა. მე ყოველთვის მომხრე ვარ კრიტიკის, მაგრამ ის კრიტიკა, რომლითაც აქ გამოინავარდეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა სრულიად მიუღებელი და დასაგმობია. კრიტიკა ორი გვარია: ერთი გულ ღვარძლიანი, რომელიც ყველაფერს იწუნებს, მეორე კეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერი კრიტიკა მისაღებია და საქმისათვის გამოსადეგი, ხოლო, როგორც მოგახსენეთ, გულ ღვარძლიანი კრიტიკა საქმისათვის მავნებელია და დასაგმობი. სწორედ ასეთი გულ ღვარძლიანი და არა კეთილსინდისიერი იყო [illegible] და [illegible] კრიტიკა.

აქ გუშინ ილ. ნუცუბიძემ თავისი აზრის დასამტკიცებლათ მოიყვანა წერილი „ერთობიდან" ადმინისტრაციის და მილიციის ნაკლის შესახებ. თუ „ერთობა" თვითონ სწერს ადმინისტრაციის ნაკლის შესახებ, ეს მით უარესი თქვენ თვის, ბ. ნუცუბიძე. თქვენ მაგალითის მოყვანაც ვერ შესძელით საკუთარ გაზეთიდან და „ერთობის" ფაქტებს მიმართეთ. ეს განა თქვენს უსუსურობას და თქვენი კრიტიკის უსაფუძვლობას მშვენიერად არ ასაბუთებს?

სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორიცაა ამერიკა და შვეიცარია, იმ ქვეყნებში, სადაც მ საუკუნეა, რაც დემოკრატიული წყობილება არსებობს, იქაც ხდება ბოროტ-მოქმედება, მაგრამ იქ არავის არ უთქვამს, რომ, რადგანაც ბოროტ-მოქმედება ხდება—მასთან მებრძოლი აპარატი გაფუჭებულია, თქვენ კი გამოდიხართ აქ და ამბობთ: რათ ხდება ჩვენში ბოროტ-მოქმედება თუ ეს სამინისტროს ბრალი არ არისო. ეს ოპოზიცია ჰგავს აკაკის იმ ერთ გმირს. (სოც.-რევოლუციონერები და ფედერალისტები ხმაურობენ, ისმის ხმა: „როგორ შეიძლება ასეთი სიტყვის თქმა" და სხვა) ბ. თქვენ ნუ დელავთ, მე არა პარლამენტარულ სიტყვას არ ვიხმარ, მე კარგათ ვიცი რასაც ვამბობ. დიახ, მე ვამბობ, რომ ეს ოპოზიცია ჰგავს აკაკის იმ ერთ გმირს, — როდესაც მისცემ პორტფელს, მაშინ შენთანაა, იზიარებს შენს მთავარ პოლიტიკას, როდესაც პორტფელს დაჰკარგავს, მაშინ ოპოზიციონერია და გმობს ყველაფერ იმას, რასაც წინეთ იცავდა. (ხმაურობა, ესერები და სოც. ფედერალისტები ღელავენ). ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მაინტერესებს, იზიარებენ თუ არა ს. დადიანის, შ. ნუცუბიძის გამოსვლებს გრ. ლასხიშვილი, ს. მდივანი და ს. ფირცხალავა (ს. დადიანი: მაგაზე თქვენ ნუ სწუხართ; ს. მდივანიც ლაპარაკობს რაღაცას, მაგრამ არ ისმის) თუ იზიარებენ, მით უარესი თქვენი ფრაქციისათვის.

აქ შ. ნუცუბიძემ გუშინ სთქვა, რომ სოც. დემოკრატებს აქვთ ბიურო, ყავთ ფრაქცია, იქ კამათია, მსჯელობაა, აქ კი, დამფუძნებელ კრებაზე არ გამოაქვთ ეს კამათიო. თქვენ ბ. ყველანი ვართ სკამზე მოთავსებით და ხშირად ერთმანეთს [illegible] და რით გვკვრით, რომ სოც. დემოკრატიულ ფრაქციაში, რომელიც 106 კაცისაგან შესდგება, კამათი იყოს? (ტაში) დიახ, ჩვენს ფრაქციაში არის კამათი, მსჯელობა, აზრთა შეხლა-შემოხლა და ეს გარემოება ჩვენ გვახარებს, ეს ამტკიცებს, რომ ჩვენი ფრაქცია ცხოველია, მოქმედია და ყოველი საკითხები ახლა—აიწონ დაიწონება. სად, რომელ პარლამენტში გინახავთ ბატონებო, რომ ფრაქციული კამათი პარლამენტში გამოეტანოთ და აბნეულ-დაბნეულათ გამოსულიყვნენ?—აბსურდია ბატონებო და ეს აბსურდი თქვენ მოგაქვთ როგორც არგუმენტი. ვითომდა ჩვენი [illegible] ნუცუბიძე ამბობდა, რომ სოც. დემოკრატიული ფრაქცია არის ქვედა პალატა, დამფუძნებელი კრება კი ზედა პალატაო. ეს გაუგებრობაა. არავითარი ქვედა და ზედა—პალატა ჩვენში არ არსებობს. (კ. ნინიძე: ამას იმიტომ ლაპარაკობენ რომ ზედა პალატაში მათ ადგილი. (საერთო სიცილი)

განა შეიძლება, რომ მილიციამ ვინმეს შეურაცხყოფა არ მიაყენოს ჩვენში? მე, ბატონებო, შვეიცარიაში ვყოფილვარ, ვიცი, რომ იქაც ხდება ბოროტ-მოქმედება მილიციის მხრივ, მაგრამ ეს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის იქ დანაშაულათ არავის ჩაუთვლია, ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში კიდევ დიდხანს იქნება უწესოება, ასე ჩქარა არ გარდაიქმნება ჩვენი ხალხის და ადმინისტრაციის ფსიქოლოგია, მაგრამ ამაში მარტო არ არის საქმე. საქმე იმაშია, როგორი წესიერება იყო წინეთ და როგორია ახლა. მივუდგეთ თუ არა წინ, არის თუ არა დღეს უკეთესი წესრიგი, აი როგორ უნდა დავაყენოთ საკითხი. თუ ამას არ ავღნიშნავთ დანაშაულს ჩავიდენთ და ჩვენ უნდა განვაცხადოთ დემოკრატიის სასიხარულოთ, რომ ამ მხრივ დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვინემ ეს იყო წინეთ. დღეს შედარებით მოქალაქის მშვიდობიანი ცხოვრება საკმაოდ უზრუნველყოფილია.

შეუძლებელია გამოსვლა ისე, როგორც ს. დადიანი და შ. ნუცუბიძე გამოვიდნენ ისინი არ იწონებენ სამინისტროს პოლიტიკას, მას უნდობლობას უცხადებენ, ხოლო კრედიტს მაინც აძლევენ. ეს აბსურდია. თქვენ როცა არ იწონებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობას, არც კრედიტი უნდა მისცეთ მას. ეს უფრო ლოღიკურია. რაც შეეხება ესერებს, ისინი ხომ პასუხისმგებელნი არ არიან. მათ ყველაფრის თქმა შეუძლიათ. მათ ჩვენს სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობაში ნაყოფის მეტი არაფერი შეუტანიათ (ს. მდივანი: ჩვენ საქართველოსათვის ბევრი რამ გავაკეთე) თავის ქება კიტრათ ღირსო, იტყვიან (კ. ნინიძე: კათალიკოზს დიდი ხანია ელოდებით, ბ. მდივანო? ხმაურობაა)

სოც. რევოლუციონერები აქ ყოველთვის გამოდიან და ამბობენ ძველ მოხელეებს რათ აყენებთო ეს ცნება რომ არ იყოს ბ. შენგელაიას მეხსიერებაში, მაშინ მას არაფერი არ ექნებოდა სათქმელი. ბატონებო, ჩვენ ძველ რეჟიმს სასტიკათ ვებრძოდით, მაგრამ ყველაფერი ძველის უარყოფა არ შეგვიძლია. მით უმეტეს არ შეგვიძლია ყველა ძველ მოხელეთა უარყოფა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ მოხელეები არა გვყავს, მათ [illegible]. მე შემეშინდებოდა ერთ წუთისაც წარმომედგინა აქ (მთავრობის ლოჟაზე მიუთითებს) ნ. ჟორდანიას მაგივრათ ლ. შენგელაია, მაგრამ დავუშვათ, რომ ეს ასე არის, რომ შენგელაია არის სათავეში. რას იზამდა ბ. შენგელაია, საიდან მოიყვანდა მოხელეებს? მე მგონია, რომ არსაიდან. და დარწმუნებული ვარ, რომ საქმე გაცილებით უფრო უარესს მიმართულებას მიიღებდა. საქმე იმაში კი არ არის, ძველია ის მოხელე თუ ახალი, არამედ—საქმე იმაშია, როგორ ასრულებს ის თავის მოვალეობას. თქვენ არ დაგიმტკიცებიათ, ბატონო შენგელაია, რომ ამა თუ იმ ძველმა მოხელემ ეს და ეს ბოროტმოქმედება ჩაიდინა. (შენგელაია: თქვენ [illegible] იდეურ ხალხს!) იდეური ხალხი ეს ის ხალხია, რომელიც იბრძვის ამა თუ იმ იდეისათვის. (ს. დადიანი: როგორია სახელმწიფოებრივი პრაქტიკა?) ყოველ შემთხვევაში, ს. დადიანისაგან ვერ ვისწავლით სახელმწიფოებრივ პრაქტიკას (ტაში). ბოლშევიკები იმიტომ კი არ სხედან ციხეში, რომ ისინი იდეისათვის იბრძვიან, არამედ—მიტომ, რომ გამოსვლით [illegible] ყუმბარებს მოკიდებენ ხელს ჩვენი სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგოთ. აქ ლაპარაკობდნენ მილიციელების საქმეზე, თქვენ გითხრეს, ბატონებო, რომ მილიციელი სამართალშია მიცემული და უნდა დაუცადოთ სასამართლოს განაჩენს.

ახალციხის საქმეც თავის სასარგებლოთ გამოიყენა ოპოზიციამ. კარგათ რომ ყოფილიყო ახალციხეში საქმე, მაშინ იქ მთავრობა რევიზიას არ დანიშნავდა (ს. დადიანი: ჩვენც ეს ვსთქვით;) თქვენ გუშინ სთქვით ეს, მთავრობამ კი ამას თავის წინეთ გააკეთა. ასეთი ფაქტით გამოსვლა სირცხვილია, ბატონებო, ეს ამტკიცებს იმას, რომ თქვენ ხელს უშლით სახელმწიფოს აშენებას.

არაქელი ოქუაშვილზე ამბობდნენ, რომ კბილი ჩაამტვრიესო, ეს ჯერ კიდევ საეჭვო საკითხია, მართლა ჩაამტვრიეს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ლაპარაკი ამ ჟამად ნაადრევია. გამოძიება სწარმოებს და განაჩენიც იქნება გამოტანილი.

საგანგებო რაზმის წინააღმდეგ გაილაშქრეს აქ. რაზმის არსებობა რევოლუციამ და ისტორიამ დააკანონა. ერთბაშათ წესრიგის დამყარება არ შეიძლება... რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას. არ უნდა ეშინოდეს მოქალაქეს ღამის 11 საათზე გამოსვლის. და ჩვენში დღეს ეს შესაძლებელია ამას აღნიშნავენ უცხოელები.

თქვენს პარტიაში ბევრი არა-კეთილსინდისიერი ხალხი ეწერება, სთქვა ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. მართალია, მმართველ პარტიაში ბევრი გაიძვერა და უსინდისო ხალხი ცდილობს შეძვრეს, შეიპაროს, ეს ასეა ყველგან. მაგრამ განა ამაზე არ დაწერილა თვით გ. ზ. „ერთობა-"ში? დიახ, ეს დაიწერა, ამას ს.-დემოკრატიული პარტია ებრძვის და ამის აქ გამოტანა არ ეკადრება ნამდვილ პარლამენტარულ მოღვაწეს. რამდენი უსინდისო კაცი იყო სოც. ფედერალისტთა და სოც. რევოლუციონერთა პარტიაში (სოც.-დემ. სკამებიდან: ახლაც არიან!) დიახ ახლაც შეიძლება იყვნენ, მაგრამ ჩვენ არ ვაკადრებთ, რომ ვსთქვათ: სოც.-ფედერალისტების და სოც.-რევოლუციონერების პარტიები უსინდისო ხალხისაგან შესდგებაო.

დასასრულ ორატორი ეხება ბ-ნ სოც. რევოლუციონერების და სოც.-ფედერალისტების ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. თქვენ, ამბობს ორატორი, ზიზღით აქ ჩვენთან და ებრძვით იმ სახელმწიფოს, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ. მაგრამ ებრძვით არა პირდაპირ, არამედ—ირიბულათ. ჩვენ კი ვამბობთ, რომ დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში ჩვენ უნდა ვიყოთ მთავრობასთან. ყოველგვარ კეთილსინდისიერ კრიტიკას ჩვენ სიხარულით მივიღებთ, ხოლო ისეთ გულ ღვარძლიან კრიტიკას კი, რომლითაც ოპოზიციამ ამ საკითხში გამოინავარდა, სასტიკად შევებრძოლებით. (ტაში).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 მარტი.

ამერიკულ ცნობები.

ოსმალეთის გაყოფა.

(დასაწყისი არ მიგვიღია). . ნება მისცენ რომელიმე სხვა სახელმწიფოს მსოფლიოს [illegible], დარდანელებთან განმტკიცებისა, და რომ ეს განხორციელებულიყო, ინგლისი ვერ მიიღებდა მანდატს კონსტანტინოპოლზე. იგი დაუბრუნდა ზავის ძველ პოზიციას, რომ აქ თურქები შეეკავებინა. ეს იგივე ისტორიაა ბატონობის წონასწორობის დაცვისა, რომელსაც ინგლისი ხელს უწყობს. რა თქმა უნდა ამერიკელები რომ დათანხმებულიყვნენ კონსტანტინოპოლის მანდატის აღებაზე, ინგლისს ალბათ ამას საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებასაც ცხარედ შეებრძოლებოდნენ.

რკინის გზელთა გაფიცვა და სიძვირე

რკინის გზელთა ორი დღის გაფიცვამ პარიზში ყველგან აიწია სურსათ-სანოვაგეს ფასი. განსაკუთრებით გაძვირდა ის საქონელი, რომელიც ჩქარა ფუჭდება. ამ კვირაში აიწია ორჯერ. მოსალოდნელია კიდევ უფრო გაძვირება. გაფიცვის გამო რკინის გზებზე დარჩა ხორცი, მწვანილი, ხილი, კვერცხები და სხვა.

ფრანგული პრესის ცნობები.

უნგრეთის რეგენტი.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან: ეროვნულ კრების მიერ 141 ხმიდან 131 ხმით უნგრეთის რეგენტათ ამოირჩიეს ადმირალი ნიკოლოზ ხორტი.

საფრანგეთის ჯარი სტამბოლში.

მარსელიდან მოსული ცნობით სამხედრო გემმა „ლ. ოსტორია" კონსტანტინეპოლში წაიყვანა 15,000 ფრანგ. ჯარის კაცი.

გენ. იუდენიჩი.

რეველიდან იუწყებიან: გენერალმა იუდენიჩმა თავის შტაბით დასტოვა ესტონეთი. ლატვიის მისიამ განაცხადა, რომ ლატვიის მთავრობამ ნება მისცა იუდენიჩს რამდენიმე დღე დაჰყოს რიგაში, საიდანაც ის ლიბავის გზით პარიზში წასვლას ფიქრობს.

ოსმალეთის საკითხი.

„პეტი პარიზიენი" ოსმალეთთან ზავის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: ოსმალეთთან საზავო პირობების გამომუშავებამ ლონდონში სხვადასხვა კომენტარიები გამოიწვია. ლონდონში პრინციპიალურად მთავარი პუნქტების შესახებ საკითხი არ შეიძლება რომ აღიძრას, როგორც მაგ. კონსტანტინეპოლის ოსმალების ხელში დატოვებისა და სმირნის საბერძნეთისათვის გადაცემის შესახებ.

მეორეს მხრივ, მოკავშირეებს სურვილით არა აქვთ სახეში ოსმალეთის დანაწილება, ოტომანის იმპერიას ჩამოაცილებენ მხოლოდ იმ ზოგიერთ ოლქს, სადაც სულ სხვა ხალხი ცხოვრობს. ზოგი, როგორც მაგალითად, არაბეთი მიიღებს დამოუკიდებლობას, ზოგი კი, როგორც სირია, იქნება ავტონომიური, რომლის მანდატიც ერთ ერთ ევროპის სახელმწიფოს ექნება. ქალაქი სმირნა საბერძნეთის უშუალო კონტროლის ქვეშ იქნება. დანარჩენი იმპერია იქნება სულთნის უმაღლეს გამგებლობის ქვეშ, მაგრამ ზოგ ოლქში კი ოსმალეთის ვალებს (ვენ. გუბერნატორებს) [illegible] ადმინისტრატორები: [illegible] ლიელები, კილიკიაში—ფრანგები, ქურთისტანის ბედი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ბოლოს და ბოლოს ოსმალეთთან საბოლოო საზავო ხელშეკრულება შედგენილი იქნება არა ლონდონში, არამედ პარიზში.

გაფიცვის დასრულება.

რკინის გზელთა გაფიცვა დასრულდა. ორშაბათს საღამოს რკინის გზელთა დელეგატებსა და დიდ გზათა დირექტორებს შორის მოლაპარაკება მოხდა. მილერანის შუამდგომლობით ორივე მხარე შეთანხმდა. მუშათა კავშირმა დაუყონებლივ გასცა ბრძანება მუშაობის დაწყების შესახებ.

ბრძოლა სიძვირესთან.

ლონდონიდან „პეტი ჟურნალის" ცნობით უმაღლესი საბჭოს ეკონომიური სექციის სხდომამ მოისმინა სიძვირესთან ბრძოლის საშუალების გამონახვას. მიღებული გადაწყვეტილებები გულისხმობს მოკავშირეთა მოქმედების ერთიანობას. მოკავშირეებს სახეში აქვთ, უთუოდ, საერთო ან ერთი მეორესთან შეთანხმებით შესყიდვა საქონლისა, რათა ამგვარად მსოფლიო ბაზარზე თავიდან აიცილონ კონკურენცია.

ბოლშევიკური ცნობები.

სამხედრო ცნობა.

პეჩორის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა პეჩორი აიღო. მტერი ქალაქ [illegible] უახლოვდება. როსტოვის რაიონში ჩვენ მდ. კაგალნიკის ხაზზე გამოვედით. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიამფრქვევები და თოფები. მეჩეტსკაიაზე ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 30 ტყვიამფრქვევი, 4 ზარბაზანი და [illegible] რაიონში ჩვენ ბრძოლით ავიღეთ იგორლინსკაია. ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 4 ტყვიამფრქვევი და სხვა ქონება. სტავროპოლის რაიონში მხედრები მიიწევენ. სვიატოკრესტის რაიონში ჩვენ ბრძოლით 15—30 ვერსით წინ წავედით.

ტყვეების გაცვლა.

ლიტვინოვი და ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ო გრეიდი შეთანხმდნენ სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

სპარსეთში.

სპარსეთის რევოლუციონერების ბელადმა კუჩუკ-ხანმა ქალაქი ენზელი აიღო. ინგლისელებთან ბრძოლა სწარმოებს. სპარსეთში რევოლუციონური მოძრაობა იზრდება.

ჩეხიაში.

ქალაქ პრაღაში სახალხო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთავრობა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებაზე აიძულოს. კრება მოითხოვს საბჭოთა მთავრობის აღიარებას და სურს, რომ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ პროლეტარიატის წარმომადგენლებმა.

პოლონეთი და რუსეთი

ვარშავაში პოლონეთის მთავრობასთან მოვიდნენ ლატვიის და რუმინეთის წარმომადგენლები რუსეთთან ზავის შეკვრის საკითხზე მოსალაპარაკებლად. პოლონეთის მთავრობა მზად არის უარი განუცხადოს თავის მოთხოვნილებაზე, რომ აღდგენილ იქნეს პოლონეთის საზღვრები პირველ გაყოფამდე.

საზავო მოლაპარაკება ლიტვასთან.

ლიტვის მინისტრთა საბჭომ დანიშნა რამდენიმე პირი საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების წინასწარი მუშაობისათვის.

ბრძოლა ბოლშევიზმთან ამერიკაში.

[illegible] ამერიკის შრომის მინისტრი ითხოვს გადასცენ მას 200,000 დოლარი ბოლშევიკური აგიტაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და 300,000 ბოლშევიკ აგიტატორების გადასახლების ხარჯების დასაფარავად.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში.** ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს 7 ს. შესდგა საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი. განსახილველი იყო საკითხი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. სხდომას დაესწრნენ წარმომადგენელნი: სომხეთა ეროვნული საბჭოსი, მუსულმანთა ეროვ. საბ., რუსთა ეროვ. საბჭოსი, ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირის ცენტრალური საბჭოსი, თბილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოსი, ელინთა მეორე ყრილობის და ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ბუნდის"-ა. [illegible] გამოირკვა, რომ ამ დღისათვის, დროის სიმცირის გამო, წარმომადგენელთ არ შეუძლიათ გაეცნონ საკონსტიტუციო კომისიის მათ მიერ წარმოდგენილ ორგა-

ნოების კონკრეტიული თეზისები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ, დადგენილ იქნა: სხდომა გადაიდოს. წინასწარ გასაცნობათ თეზისები წარედგინოს საკონსტიტუციო კომისიას. შემდეგი სხდომა შესდგეს 10 მარტს, საღამოს 7 საათზე.

◆ **გზათა დეპარტამენტის დირექტორს.** 8 მარტს წარუდგა იტალიის მისიის ფინანსიური კომისია გზათა უწყებისათვის სესხის მიცემის შესახებ მოსალაპარაკებლად. კომისიამ თავის მხრივ წარმოადგინა სესხის შემდეგი პირობები: მისია თანახმაა საქართველოს მთავრობას გზათა უწყების საჭიროებისათვის მისცეს სესხად 80 მილიონი ლირი, რომლის გადახდა მთავრობას შეეძლება მისიისათვის საჭირო რაოდენობის ქვანახშირისა და შავი ქვის მიცემით. გარდა ამისა იტალიის მისია დაუჭერს საქართველოს მთავრობას საქართველოს რკინის გზებზე იტალიის საქონლის საზიდ ფასს. სამაგიეროთ, მისია კისრულობს: ა) მიჰყიდოს საქართველოს მთავრობას რკინის გზების საჭიროებისათვის სხვადასხვა მასალები იმ ფასებში, როგორც ხსენებულ მასალებს იძენენ თვით იტალიაში სახაზინო გზების საჭიროებისათვის; ბ) გასწმინდოს და გაადრმავოს ფოთის ნავთსადგური, რის შემდეგ მიწის გამწმენდი მანქანა რჩება საქართველოს საკუთრებათ და გ) გამოაწყოს იქვე ნავთსადგურში წყალსადენი, აგრეთვე ბარაკები და მუშებისათვის საჭირო შენობები. საჭირო მასალათა შესაძენათ, იტალიაში გამგზავრებისას მისია თხოულობს გაჰყვეს მათ ორი ინჟინერი, როგორც საქართველოს გზათა უწყების საჭიროებისათვის შესაძენ მასალათა მიმღებ წარმომადგენლების რწმუნებულნი.

◆ **ახალი გემის ჩაშვება ფოთის ნავთსადგურში.** ფოთიდან პრეს ბიუროს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: მარტის 3 ს დღის 2 საათზე საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებამ ზღვაში ჩაუშვა სამ იალქნიანი საკომერციო გემი „ქართლი". გემის ჩაშვებასა და მის სანიმუშო გამოცდას დაესწრნენ დამფ. კრების წევრნი, სატრანსპორტო საზოგადოების დირექტორი და სხვანი. „ქართლი" პირველი საკომერციო გემია ამ საზოგადოებისა.

◆ **სამხედრო წესები და სამხედრო საველე სასამართლო გორის მაზრაში.** მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ქ. გორში და მის მაზრაში შემოღებულ იქნას სამხედრო წესები და სამხედრო საველე სასამართლო.

◆ **სასურსათო განყოფილების** მიერ მიღებული ცნობებით თფილისის ბაზრებზე რკინის გზის მოსამსახურენი ყიდულობენ დიდძალ სანოვაგეს საზღვარგარეთ გასატანად, რითაც უზომოდ აძვირებენ ყოველგვარ სურსათს. მიღებულია სათანადო ზომები აღნიშნულ სპეკულიაციის მოსასპობად.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, პარასკევს, ლექციას წაიკითხავენ: 2 ჯგუფში (ვერაზე) 1) ეკ. ალხაზიშვილი—ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი 2) ს. დოლიძე—საქართველოს ისტორია; 3) ექ. ცუცხლაძე—საერთო ჯანმრთელობაზე.

მე 8 ჯგუფში (ავლაბარში) 1) დ ასათიანი—საფრანგეთის რევოლუცია 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ **გალაკტიონ ტაბიძის საღამო.** სახელმწიფო თეატრში გუშინ გაიმართა პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამო. საღამოს ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო, უფრო მრავალი კი უბილეთობის გამო გაბრუნდა.

— რედაქციამ მიიღო ექიმ ბეგლარ გონჯილაშვილისაგან 2003 მანეთი სახ. გვარდიის მთავარ შტაბის სასარგებლოთ *).

◆ **„გორის ფონდი".** გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოსწირეს 50 მან. თითომ: არტემ კოდუამ, იოს. ქაბალაშვილმა, ვალ. გაბისონიამ, პეტრე ბალანიამ, ალ. დიდიათითიამ, ლავრენტი მერელიამ, კონსტანტინე სიჭინავამ, რომანოზ გუგუშვილმა, ვასო შანტურიამ, ჯაბეი ყოლბაიამ. სულ ხუთასი მანეთი. მავალიში კოტე ბოჭორიძისაგან—შეგროვილი დაწესებულებათა წარმომადგენლობის კრებაზე 1975 მ., ლავრენტი მაქსიმეს ძე რუხაძისაგან 1000.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს—„ქეთო და კოტე"; შაბათს, 6 მარტს—ოპერა მუშებისათვის—„იოლანტა" და ბალეტი; კვირას, 7 მარტს, დღისით—„ევგენი ონეგინი", საღამოთი—„ქამანჩა" და ბორის გოდუნოვი".

◆ **განცხადება.** 10 თებერვალს ნაძალადევის თეატრის შენობაში პირველ რაიონულ ორგანიზაციის გვარდიელების და არა გვარდიელების წევრების შეერთებულ კრებაზე არჩეულ იქნა ოთხი კაციანი საგან კომისია ცნობების შესაკრებად: ვინ ავრცელებს გვარდიელებზე ცუდ ცნობებს ტფილისელთ—საქონლის და სახალხო სადგურებს, დეპოს და მთავარ სახელოსნოების ამხანაგებს—თუ ვინმე რამე იცის გვარდიელების და მუშებს შორის შუღლის მთესავების შესახებ—მოგვცეს ცნობები ასეთ პირების. კომისიის თავმჯდომარე დ ლორთქიფანიძე. მისამართი: მთავარ. სახლ. და დეპოს მუშა მოსეშს. პროფეს. კავშირის გამგეობა.

კრებები.

— კვირას, 7 მარტს, დღის 10 ს. დაინიშნება მუშათა კოოპერატივ „ალონძინებს" რწმუნებულთა საზოგადო კრების გაგრძელება

— 5 მარტს, 5 ს ხალხში, სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის ოთახში სხდ. 8 ს. დანიშნულია სხდომა დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა.

— დღეს ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება სოც.-დემ. სტუდენტთა საერთო კრება.

*) ამ ფულის განცხადება ძლიერ დაგვიანდა რადგან წერილი, რომელშიაც იყო აღნიშნული ფულის დანიშნულება რედაქციას თავის დროზე არ მიუღია.

უცხოეთი

რუსეთი.

სავაჭრო ურთიერთობისათვის. სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის ბათუმის სააგენტო ატყობინებს თავის აგენტს თფილისში იმ მიწერ-მოწერას, რომელიც ამ საგანზე სწარმოებდა:

„უმაღლეს საბჭოს მოწოდებით 14 იანვარს, ბერკენჰეიმმა გაუგზავნა კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯს კოოპერატივების შეხედულება რუსის ხალხთან სავაჭრო დამოკიდებულებათა შესახებ 16 იანვარს უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ხელახლა მოიწვიოს ცენტრო სოიუზი და სხვა კოოპერატიული ორგანიზაციები მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოებთან სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენის საქმეში. ჩვენ ეს გადაწყვეტილება და უმაღლეს საბჭოს პირობები უმალვე ტელეგრაფით შევატყობინეთ მოსკოვში ცენტროსოიუზის თავმჯდომარეს კორობოვს. მოუცდით მის პასუხს. დაწვრილებით ფოსტით".

„ვინაიდან უმაღლეს საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს რუსეთის კოოპერატიული ორგანიზაციები რუსეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის ურთიერთ საფუძველზე დამყარებულ საქონლის გაცვლის მოსაწყობათ,—გთხოვთ გამოიმგზავროთ ფართო სავაჭრო ოპერაციების ჯგუფი თქვენი რაიონისთვის და აგრეთვე გეგმა ფულის მიწოდებისა და საქონლის ფართო ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მოამზადეთ საჭირო პერსონალი და გამოარკვიეთ ფინანსიური შესაძლებლობა. იმოქმედეთ აჩქარებით და გამოგზავნეთ თქვენივე საქმის შესახებ, რომელიც შესაძლებელია გაკეთდეს, შეგვატყობინეთ ლონდონში ცენტროსოიუზს, უცხოეთის წარმომადგენელს ბერკენჰეიმს, აგრეთვე ფოსტით წინადადებისა და განზრახვების დაწვრილებითი აღწერა. უცხოეთის წარმომადგენელი ბერკენჰეიმი".

ამერიკა.

საბჭოთა რუსეთის წინადადება ზავის შესახებ. ვაშინგტონიდან მოსულ ოფიციალურ ცნობების თანახმად საბჭოთა მთავრობამ ხელახლა მიუტანა წინადადება ზავის შეკვრის შესახებ; ახალ წინადადებებში ბოლშევიკები აღთქმას სდებენ, რომ ისინი დაამკვიდრებენ რუსეთში დემოკრატიულ მართვა გამგეობას, მოიწვევენ დამფუძნებელ კრებას და უკან წაიღებენ დეკრეტს რუსეთის სავაჭრო ვალის გაუქმების შესახებ; ვალით ბოლშევიკები სცნობენ 60 პროც. იმ ვალისას, რაც უწინდელ რუსეთზე ითვლებოდა. საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს მოკავშირე სახელმწიფოებს ნუ ჩაერევიან რუსეთის საშინაო საქმეებში და ითხოვს, რათა შეერთებულმა შტატებმა მისცენ რუსეთს სესხი, რომელიც სათანადო კონცესიებით იქნება უზრუნველყოფილი.

სომხეთი.

სომხეთა ჟლეტა კილიკიაში. ერევნიდან „აზატამარტის" შემდეგს იუწყებენ: „სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თეირანით მიიღო რეფერანტის სააგენტოს ცნობა, რომ ოსმალების ჯარებს და ქურთებს კილიკიაში დაუხოციათ 70 ათასამდე სომეხი. ბრძოლა გრძელდება მარაშის ოლქში. სომხები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ; ოსმალები დიდი ზარალით უკუიქცევიან".

ბათუმიდან „აზატამარტის" შემდეგს ატყობინებენ: „გაზ. „კილიკია"-ში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი, რომ თურქების „მილიის" (სახალხო) ძალები გამორეკილი არიან მარაშის მდამოებში, ამის გამო ოსმალები თავს დაესხნენ სომხებს, მაგრამ ფრანგების დახმარებით უკუაგდეს თურქები, შემდეგ როცა ფრანგებმა დაიხიეს უკან, თურქებმა გაჟლიტეს 20 ათასამდე სომეხი. 4,000 გაქცეულ სომხებიდან 2000 გზაში დაიღუპნენ, 2000 თავშესაფარი იპოვა ისლაჰიეში. გარდა ამისა, კილიკიიდან მოსულნი ამბობენ, რომ ფრანგებს უკან დახევის დროს არ შეუტყობინებიათ სომხებისათვის, თვითონ აუყრიქებიათ სამხედრო საწყობები, რის გამო თავდასხმის დროს სომხები დარჩენილან უიარაღოთ.

მოწოდება

მოქალაქენო, როდესაც განვლილ დღეს გადაათვალიერებთ და დასაძინებლად დაწვებით, თქვენს თავს ჰკითხეთ: რა გავაკეთე მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის.

გაჭირვების დროს პირუტყვებიც კი შველიან ერთმანეთს.

ჩვენ ადამიანები ვართ და ჭირში ერთმანეთის დახმარება და გადარჩენა ჩვენი ვალია.

ოდეს კაცსა გაეჭირდეს
მაშინ უნდა ძმა და თვისი.

იმაზე მეტი გაჭირვება, რაც შეხვდათ ქართლის მცხოვრებლებს დაადგათ, წარმოუდგენელია.

მართალია, ხაზინამ იზრუნა და რეგულირებამ ბევრს რამეს შეავსებს, მაგრამ მიწის ძვრისაგან განადგურებული სოფლები და მცხოვრებნი ქვასაც კი დაასწვევენ ცრემლით.

ბევრი იტყვის, მე თვითონ გაჭირვებული ვარ, სხვას რითი შევეწიოთ.

არა, მოქალაქენო.

ათხრებული ქართლის გაჭირვება სულ სხვანაირია.

უსახლ-კაროთ დარჩენილი ხალხი კარვებში იყინება მშიერ-მწყურვალი, შიშისგან თავზარდაცემულნი, მოულოდნელი წვიმიანობისაგან გაღენწებული არიან; ზოგს შვილი აკლია, ზოგს ქმარი, ზოგს დედ-მამა.

ნუ გაგვიმეტებთ ჩვენს ძმებს და დებს. დაეხმარეთ, გაამხნევეთ, შეაძლებინეთ ასეთი უბედურების გადატანა.

მოქალაქენო, ჩაიხედეთ ყოველ დღე თქვენს გულში, დაეკითხეთ თქვენს სინდისს და ის გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში.

გადაუხადოთ უბედურებს ჩვენის თანაგრძნობით და სიყვარულით, გავაკვირვოთ ქვეყანა ჩვენის გულუხვობით.

დაზარალებულებს ახლა ყოველ დღე ესაჭიროება, ხარჯი ძალიან დიდია. ამიტომ დამხმარე ბიურო მოუწოდებს ყველას—რედაქციებს, დაწესებულებებს, კერძო პირებს და სხვას, ვისაც კი დღემდე შეუგროვებია რამე, მოაწოდოს ბიუროს.

მისამართი: ქალაქის საბჭო, ბიუროს მდივანი ვასილ ხახანაშვილი.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარული მოწერილობით მიმართა შრომის კომისრებს, რწმუნებულთ და მუშებისა და სამუშაოს მიმცემთა ორგანიზაციებს: შრომის სამინისტრო ამით განმარტავს, რომ სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის დროს ნაჭრობით მომუშავეთათვის უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით: ნაჭრობით მომუშავე მუშებისა და მოსამსახურეების სალიკვიდაციო ჯილდო განისაზღვრება იმ ნაჭრობით ფასებით, რომელიც არსებობდა სამუშაო ხელშეკრულების დარღვევის დროს და რომელიც გამოყვანილია ნაჭრობით ნამუშევარის საშუალო ფასი გამოდის სამუშაო ხელშეკრულების დარღვევამდე სამ თვის, ნამუშევარის საერთო ჯამიდან, ან უფრო ნაკლებ დროის ნამუშევარიდან, თუ კი სამუშაო ხელშეკრულების დარღვევა 3 თვეზე ადრე მოხდა.

პროფესიონალურ კავშირებში

24 თებერვალს შესდგა თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის არაჩვეულებრივი სხდომა. განსახილველი იყო სასურსათო საკითხი. მოსმენილ იქნა „მუშათა მაცნის" გამგეს ვ. წულაძის მოხსენება ხსენებულ საკითხზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სასურსათო სამინისტრო ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რომ დაამზადოს საჭირო რაოდენობის პირველი საჭიროების საგნები, მაგრამ სამინისტრო სხვადასხვა ობიექტიური პირობების გამო დღემდე ვერ შესძლო გაედიდებია პურის რაციონი და არც ახლო მომავალშია ამის იმედი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ამ საკითხმა. შეტანილი იყო სხვადასხვა წინადადებები, მაგ. ბაზარზე თავისუფალ ვაჭრობის მოსპობა, მუშათა კონტროლის დაწესება სასურსათო საქმეზე, დახურვა ისეთი საკონდიტროების, სადაც მხოლოდ ტკბილეულობა მზადდება, ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის დატოვება და სხ. მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: სეკრეტარიატი [illegible] რა ყველა მხრივ [illegible] საკითხი, დაადგინა: სურსათის დარიგებაში დარიგებით შეეტყობინოს მუშათა მაცნის პროექტს. დახურულ იქნეს ყველა ის დაწესებულებები, სადაც მხოლოდ ტკბილეულობა მზადდება. აუცილებელ საჭიროებად იქნას აღიარებული სახელმწიფო კონტროლი.

თფ. პროფ. კავშირთა საბჭოს კრება

20 თებერვალს შესდგა თფ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, კავშირების გამგეობების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების და ადგილობრივ ავტონომიურ კომისიების წევრთა შეერთებული კრება. კრებას სამასამდე კაცი დაესწრო.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იყო: მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორის და მის ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებთა დახმარების აღმოჩენა.

კრების თავმჯდომარე ალ. ხელაძე, ხსნის რა კრებას იგი მოკლე სიტყვით მიმართავს დამსწრეთ: დღევანდელი კრება მოწვეულია იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა ქალაქ გორის და მის ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებლებს. მიწის ძვრისაგან თავშესაფარ დაკარგული მცხოვრებნი უწყლო და აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მთავრობამ მაშინვე სასწრაფო ზომები მიიღო: მან ჯერ-ჯერობით 20 მილიონი მანეთი გადასდო და დაზარალებულთ აძლევს სურსათ სანოვაგეს, ტანისამოსს. მაგრამ, თქვენ იცით დღევანდელი ფულის კურსი: ყველა ეს დახმარება—წვეთია ზღვაში. დაზარალებულთ მხოლოდ უდიდესი მატერიალური დახმარება და უგრძნობიერესი თანაგრძნობა აღადგენს. ამიტომ სეკრეტარიატმა გადასწყვიტა: დაზარალებულთა სასარგებლოთ ყველა მუშამ იმუშაონ ორი კვირა დღე.

მარქაროვის აბანოებში მომუშავეთა კავშირის სახელით აცხადებს, რომ ამ კავშირმა გადასწყვიტა დაზარალებულთა სასარგებლოდ იმუშაონ ოთხი კვირა დღე.

კერძო სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა კავშირის სახელით აცხადებს, რომ რადგანაც ტეხნიკურ მიზეზების გამო შეუძლებელია ჩვენი დარგის მუშებისათვის კვირა დღეს მუშაობა, ამიტომ კავშირმა გადასდო ერთი დღის ხელფასი დაზარალებულთა სასარგებლოდ.

თოდრია წინააღმდეგია კვირა დღეს მუშაობისა, რადგანაც მუშას ეს ერთად ერთი დღე აქვს შესასვენებლად და ის ისედაც გაქანცულია. ამიტომ ის წინადადებას აძლევს გადადებულ იქნას ჩვეულებრივ სამუშაო დღის ერთი დღის ხელფასი.

ცხვედაძე გვარდიის მოსამსახურეთა კავშირმა უკვე გადასდო ერთი დღის ხელფასი და აგრეთვე ულუფა, რომე-

---

გერმანის კონსტიტუცია*)

თავი მეორე

საზოგადოებრივი ცხოვრება.

მუხლი 119.

ქორწინება — როგორც საფუძველი ოჯახურ ცხოვრებისა და ერის დაცვა-გამრავლებისა—იმყოფება კონსტიტუციის განსაკუთრებულ მფარველობის ქვეშ. ის ემყარება ორთავე სქესის თანასწორობაზე.

ოჯახის სოციალური მფარველობა და მისი ჯანმრთელობის დაცვა შეადგენს სახელმწიფოს და თვითმართველობათა მოვალეობას.

დედობა იმყოფება სახელმწიფოს ზრუნვის და მფარველობის ქვეშ.

მუხლი 120.

ახალი თაობის აღზრდა ფიზიკურად, სულიერად და საზოგადოებრივად შეადგენს უპირველეს მოვალეობას და ბუნებრივ უფლებას მშობლებისას, რომელთა მოქმედებას და მოღვაწეობას თვალ-ყურს ადევნებს სახელმწიფო.

მუხლი 121.

ქორწინების გარეშე შობილ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი და საზოგადოებრივ განვითარებისათვის იგივე პირობები უნდა არსებობდნენ, როგორც ქორწინებისაგან შობილთათვის.

მუხლი 122.

ახალგაზრდობა დაცულ უნდა იყოს გაყვლეფისაგან, აგრეთვე ფიზიკურ გარყვნისა და ზნეობრივ უპატრონობისაგან. სახელმწიფო და თვითმართველობა ვალდებული არიან ამ მხრივ საჭირო ზომები მიიღონ.

იძულებითი სამზრუნველო ზომების მიღება შეიძლება მხოლოდ კანონით.

მუხლი 123.

ყველა გერმანელს აქვს უფლება დაუკითხავად და განსაკუთრებულ ნებართვის მიუღებლად უიარაღოთ და მშვიდობიანათ შეკრებისა.

ღია ცის ქვეშ — შეკრებისათვის შეიძლება კანონით დაწესდეს ვალდებულება, რომ კრების მოხდენა ეცნობოს სათანადო მართველობას; თუ ასეთი შეკრება საზოგადო მშვიდობიანობისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს, შეიძლება ის აკრძალულიც იქნას.

მუხლი 124.

ყველა გერმანელს უფლება აქვს იმ მიზნებისთვის, რომლებიც სისხლის სამართლის კანონებს არ ეწინააღმდეგებიან, შეადგინოს საზოგადოებანი და კავშირები. ეს უფლება არ შეიძლება შეზღუდულ იქნას გამაფრთხილებელ ზომებით. სარწმუნოებრივ საზოგადოებებზე და კავშირებზე ვრცელდება აგრეთვე წესები. თვითეულ კავშირს შეუძლია გახდეს იურიდიულ პირად თანახმად სამოქალაქო უფლების წესებისა. ამაში არ შეიძლება უარი ეთქვას რომელიმე საზოგადოებას ან კავშირს იმ მოსაზრებით და მიზეზით, რომ იმათ აქვთ პოლიტიკური, სოციალ პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი მიზნები.

მუხლი 125.

საარჩევნო თავისუფლება და საიდუმლოება დაცულია. დაწვრილებით განმარტავენ საარჩევნო კანონები.

მუხლი 126.

ყოველ გერმანელს უფლება აქვს მიმართოს წერილობითი თხოვნით ან საჩივრით სათანადო მართველობას ან სახალხო წარმომადგენლობას. ამ უფლების გამოყენება შეუძლია როგორც თვითეულს ცალ-ცალკე, ისე რამოდენიმეს ერთად.

მუხლი 127.

თვითმართველობებს და თვითმართველობათა კავშირებს აქვთ უფლება თვითგამგეობისა და მართველობისა კანონების ფარგლებში.

მუხლი 128.

სახელმწიფოს ყველა მოქალაქენი განურჩევლათ—დაშვებულ უნდა იყვნენ საზოგადო თანამდებობაზე კანონების მიხედვით და მათი შეძლების და მოწოდების თანახმად.

ყველა გამონაკლისის წესები ქალთა მოხელეობის და თანამდებობების შესახებ—გაუქმებულია.

ძირითად დებულებებს მოხელეთა დამოკიდებულების შესახებ აწესრიგებს კანონი.

მუხლი 129.

მოხელენი ინიშნებიან უვადოთ, რამდენათ კანონით სხვაფერ განსაზღვრული არაა. პენსიის და ობლების ზრუნვის საკითხს აწესრიგებს კანონი. მოხელეთა კანონიერ გზით შეძენილი უფლებანი ხელუხლებელია. მოხელეთა ქონებრივ-უფლებრივ მოთხოვნილებათათვის არსებობს კანონის გზა*).

მოხელენი შეიძლება წინასწარ თავიანთ თანამდებობისაგან გადაყენებულ, დროებით ან საბოლოოდ სამსახურიდან განთავისუფლებულ ან სხვა უფრო ნაკლებ ჯამაგირიან თანამდებობაზე გადაყვანილ იქნენ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფორმით და მოსაზრებით.

სამსახურის საქმის გამო გადაწყვეტილ ყოველ სასჯელის შესახებ უნდა არსებობდეს შესაძლებლობა გასაჩივრებისა და საქმის ხელახლა გარჩევისა. მოხელის პიროვნების შესახებ ცნობებში (ნამსახ. სიაში) მისთვის არასასურველი ფაქტების შეტანა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას საშუალება მიეცემა ამ ფაქტების შესახებ თავის აზრის გამოთქმისა. მოხელეს უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს ამ ცნობებს**).

კანონიერი გზით შეძენილ უფლებათა ხელშეუხებლობა და ქონებრივ უფლებრივ მოთხოვნილებათა კანონის გზით განხორციელების უფლება ვრცელდება აგრეთვე განსაკუთრებით ნამდვილ სამსახურის ჯარის-კაცებზე. სხვაფერ მათ მდგომარეობის საქმეს აწესრიგებს რესპუბლიკის კანონი.

მუხლი 130.

მოხელენი არიან მოსამსახურენი მთელისა, არა რომელიმე ნაწილისა ან რომელიმე პარტიისა.

მოხელეთა პოლიტიკურ რწმენის და შეკავშირების თავისუფლება უზრუნველყოფილია.

რესპუბლიკის კანონის დაწვრილებითი წესების თანახმად მოხელეთ ყავთ განსაკუთრებული მოხელეთა წარმომადგენლობა.

მუხლი 131.

თუ მოხელე მასზე დაკისრებულ თანამდებობის საქმეში არღვევს თავის მოვალეობის ასრულების წესებს სხვას—რომელიმე მესამე პირის—წინაშე, პასუხისმგებლობა ამაში ეხება ძირითადათ სახელმწიფოს ან კორპორაციას, რომელთა სამსახურში მოხელე იმყოფება. თვით მოხელის წინააღმდეგ საქმე ძალაში რჩება *). ჩვეულებრივი კანონიერი გზა არ უნდა იქნეს გამორიცხული.

ამის დაწვრილებით მოწესრიგება ევალება სათანადო კანონმდებლობას.

მუხლი 132.

ყოველი გერმანელი მოვალეა კანონების მიხედვით დაიკისროს შრომა და საქმიანობა საპატიო თანამდებობებზე.

მუხლი 133.

სახელმწიფოს ყველა მოქალაქენი ვალდებულნი არიან პირადათ ემსახურონ სახელმწიფოს და თვითმართველობას.

სამხედრო ბეგრის მოხდა ექვემდებარება რესპუბლიკის თავდაცვის კანონით განსაზღვრულ წესებს. ეს კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რამდენად შეიძლება შეზღუდულ იქნას სამხედრო უწყებაში მყოფ პირთა ცალ-ცალკე ძირითადი უფლებანი დისციპლინის დასაცავად და მათ მოვალეობის ასრულების საქმისათვის.

მუხლი 134.

სახელმწიფოს ყველა მოქალაქენი კანონების თანახმად იღებენ თავიანთ წილს—შეძლების მიხედვით—ყველა საზოგადო საჭიროებათათვის.

თავი მესამე.

სარწმუნოება და სარწმუნოებრივი საზოგადოებანი.

მუხლი 135.

გერმანიის რესპუბლიკის ყველა მცხოვრებლებს აქვთ სარწმუნოების და სინდისის სრული თავისუფლება. სარწმუნოებრივ წესების დაუბრკოლებლივ ასრულება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით და იმყოფება სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ეს არ შეეხება სახელმწიფოს საერთო კანონებს, რომლებიც ძალაში რჩებიან.

მუხლი 136

მოქალაქეობრივი და სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი სარწმუნოებრივ თავისუფლების ასრულებით არ შეიძლება შეზღუდულ იქნას.

მოქალაქეობრივ და სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა, აგრეთვე სახელმწიფო თანამდებობაზე დაშვება არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარებისაგან.

ვალდებული არავინ არის აშკარად გამოაჩინოს ან აღიაროს თავის სარწმუნოებრივი შეხედულებანი. მართველობას იმდენად აქვს უფლება იკითხოს ამა თუ იმ სარწმუნოებრივ საზოგადოებაში ყოფნის შესახებ, რამდენადაც ამასთან დაკავშირებულია უფლებანი და მოვალეობანი ან ამას მოითხოვს კანონით დაწესებული შეკრება სტატისტიკურ ცნობებისა. არ შეიძლება ვინმეს იძულებით დაეკისროს რაიმე საეკლესიო მოქმედების ან წესის შესრულება, ან მონაწილეობის მიღება რაიმე სარწმუნოებრივ საქმეში, ან სარგებლობა სარწმუნოებრივ ფიცით.

მუხლი 137.

სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს.

თავისუფლება შეკავშირებისა სარწმუნოებრივ საზოგადოებებში უზრუნველყოფილია. სარწმუნოებრივ საზოგადოებათა შეერთება გერმანიის რესპუბლიკის შიგნით არაა შეზღუდული.

თვითეული სარწმუნოებრივი საზოგადოება აწესრიგებს და განაგებს თავის საქმეებს დამოუკიდებლად ყველასათვის სავალდებულო კანონების ფარგლებში. ის აწესებს თავის თანამდებობებს სახელმწიფოს და სამოქალაქო თვითმართველობათა დაუხმარებლად.

სარწმუნოებრივი საზოგადოებანი ხდებიან იურიდიულ პირებად სამოქალაქო უფლების საერთო წესების თანახმად.

სარწმუნოებრივი საზოგადოებანი რჩებიან საჯარო უფლების კორპორაციებად, თუ ისინი აქამდის ასეთ იყვნენ. დანარჩენ სარწმუნოებრივ საზოგადოებათაც მათი მოთხოვნით უნდა მიენიჭოს იგივე უფლებები, თუ ისინი თავის წევრთა რიცხვით და მართველობით ხანგრძლივობის და სიმტკიცის საწინდარს იძლევიან. თუ რამდენიმე ასეთი საჯარო უფლებრივ სარწმუნოებრივი საზოგადოებანი ერთდებიან ერთ კავშირში, მაშინ ეს კავშირიც საჯარო უფლების კორპორაციათ უნდა ჩაითვალოს.

სარწმუნოებრივ საზოგადოებებს, რომლებიც ითვლებიან საჯარო უფლების კორპორაციებად, უფლება აქვთ სამოქალაქო გადასახადო ნუსხის საფუძველზე და შემადგენელ სახელმწიფოთა უფლებრივ წესების მიხედვით—გადასახადების აღებისა.

სარწმუნოებრივ საზოგადოებათა თანასწორად და თანაბრად ითვლებიან ის შეკავშირებანი, რომელთაც მიზნად აქვთ საერთო ზრუნვა რაიმე მსოფლმხედველობაზე.

რამდენად ამ წესების ცხოვრებაში გატარება კიდევ დამატებით მოწესრიგებას მოითხოვს, ევალება ეს შემადგენელ სახელმწიფოთა კანონმდებლობას.

მუხლი 138.

კანონზე, ხელშეკრულებაზე ან განსაკუთრებულ უფლებრივ საფუძველზე დამყარებული მოქმედება სახელმწიფოსი სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მიმართ შეიძლება შემადგენელ სახელმწიფოთა კანონმდებლობით შეცვლილ იქნას. ამი-

---

*) იხილ. „—№№ 19, 27, 34

*) ე. ი. ახალი კონსტიტუციით მოხელეთ უფლება აქვთ კანონის გზით საჩივრის აღძვრისა თვით სახელმწიფოს წინააღმდეგაც, რაც უწინ არ შეეძლოთ. ნ. ი.

**) უწინ არსებობდა ე. წ. საიდუმლო ატტესტაცია. ნ. ი.

*) ე. ი. თუ მოხელემ რაიმე ზიანი ან ზარალი მიაყენა ვისმეს სამსახურის აღსრულების დროს, სახელმწიფო ვალდებულია დააკმაყოფილოს ზიან მიყენებული (მაგალ., ფულადი ზარალი და სხვ.), მაგრამ თავის მხრით სახელმწიფო პასუხს მოსთხოვს მოხელეს ნ. ი.

ლიც აღნიშნულ კავშირის წევრთ ეკუთვნოდა.

შანიძე. აღლახანოვის მუშების კავშირის სახელით აცხადებს, რომ მათმა მუშებმა უკვე გადადო ერთი დღის ხელფასი და ამასთანავე დაადგინეს: იმუშაონ ერთ კვირა დღეს დაზარალებულთა სასარგებლოთ.

კილაძე. წინააღმდეგია კვირა-დღეს მუშაობისა და წინადადებას იძლევა: მოხდეს ფულის შეგროვება სურვილისამებრ.

დობორჯგინიძე იცავს კვირა დღეს მუშაობის აუცილებლობას და წინადადებას იძლევა აირჩეულ იქნას კომისია, რომელიც ტეხნიკურად ამ საქმეს გაუძღვება.

მემარნიშვილი წინააღმდეგია თოდრიას წინადადებისა და ამბობს, რომ თუ მუშები ისედაც გაძვალტყავებულია, ჩვეულებრივ სამუშაო დღის ერთი დღის ხელფასის გადადებით მუშები უფრო ცუდ პირობებში არ ჩავარდებიანო. იგი წინადადებას იძლევა: რადგანაც კავშირებს რამდენადმე უკვე გადაუდვიათ თავიანთი წვლილი, ამიტომ ორი კვირა დღის მუშაობის მაგიერ ერთი კვირა დღე ვიმუშაოთო.

იგ. ხელაძე აკრიტიკებს რა მოწინააღმდეგეთა აზრს, ამბობს, რომ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა აღდგენა და გამხნევება მხოლოდ უდიდეს მატერიალურ დახმარებას და მუშათა თანაგრძნობას შეუძლიაო. ეს კი, პირველ ყოვლისა, ჩვენმა მუშათა კლასმა უნდა იდოს თავის თავზეო.

ექსპედიციის, სურსათის და სხვა კავშირების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ მუშებსაც გადაუდვიათ თავიანთი წვლილი.

დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება გორში და მის მაზრის სოფლებს მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა მატერიალურ დახმარების აღმოჩენის შესახებ, თუ. პროფ. საბჭოს, პროფ. კავშირების გამგეობის, საქარხნო-საფაბრიკო და ავტონომიურ კომიტეტების წევრთა შეერთებულმა კრებამ დაადგინა: მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მატერიალურ დახმარების აღმოჩენაში და ქალაქ გორის და მის ირგვლივ დანგრეულ სოფლების აღდგენაში თფილისის პროლეტარიატმა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა. ამ მიზნით გამართოს ყველა კავშირებში ფულის შეგროვება; სადაც ტეხნიკურად შესაძლებელია, იმუშაონ კვირა დღე დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ამასთანავე კრება მოუწოდებს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მუშებს, და აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკებს, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დანგრეულ ქ. გორის და სოფლების აღდგენა-დახმარების აღმოჩენაში“.

არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელიც სეკრეტარიატთან ერთად გაუძღვება აღნიშნულ საქმეს. კომიტეტში შედიან: გოგუაძე, შანიძე, შენგელაია, კილაძე, დუნდუა; კანდიდატ. ამაშუკელი, ხერხეულიძე.

მიხ. თამაზაშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 26 თებერვალს ამხ. ს. გადაშქორიას თავმჯდომარეობით შესდგა მე-4 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. თანახმად რეგლამენტისა, სხდომა იხსნება ზუსტად 6 ს. სხდომა იხილავს შემდეგ კითხვებს: 1) გორის მიწის ძვრის შესახებ; 2) საზოგადო კრების მოწვევა; 3) დამოკიდებულების განსაზღვრა გამართობ ს—ბას გამგეობასთან; 4) მოხსენება საღამოს მომწყობ კომისიისა; 5) მოხსენება ბიუროს ბინის გადაკეთების შესახებ; 6) მასწავლებელ ალ. გორგაძის განცხადება; 7) პარტიის წევრთა სიის გადასინჯვა. პირველი კითხვის შესახებ სხდომა გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას გორის მაზრის მცხოვრებთა თავზე დატეხილ უბედურების გამო და კოლექტივის ღარიბი კასიდან სდებს დაზარალებულთა სასარგებლოთ ათას მანეთს ამასთანავე ყოფს სამ პირისაგან კომისიას დაზარალებულთა სასარგებლოთ საღამოს მოსაწყობათ. კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ნ. ნიკიტინი, გ. უხეიმაშვილი და მ. ტუღუში. მეორე კითხვის შესახებ სხდომა იღებს მხედველობაში, მოხსენების შაბათს, 28 თებერვალს პარტიის წევრთა საზოგადო კრების მოწვევის შესახებ, ამხ. ნ. რამიშვილის მოხსენების მოსასმენად და გადადის მორიგ საკითხზე. მე 3 კითხვის შესახებ სხდომა აცლებს უკვე არჩეულ კომისიას, გადაიმუშაოს კლუბის სია და გამართობ ს—ბისა და კოლექტივის ურთიერთისადმი დამოკიდებულების იურიდიული ფორმა და წარმოუდგინოს კოლექტივს დასამტკიცებლათ. მოხსენება 8 იანვარს, ვერის მუშათა კლუბში საღამოს მოწყობის და ბიუროს გადაკეთების სხდომამ მოისმინა, დაამტკიცა ანგარიშები და გადავიდა მორიგ საკითხზე. მასწავლებელ ალ. გორგაძის განცხადებას, პარტიის წევრთა შორის კულტურულ მუშაობის შესახებ, სხდომა სიამოვნებით ეგებება და გადასცა ის გამართობ ს—ბას გამგეობას საჭირო ზომების მისაღებათ. უკანასკნელი კითხვის შესახებ სხდომა ადგენს, მორიგ სხდომაზე განხილულ იქნას პარტიის წევრთა სია, რომელზედაც მიღებულ იქნა მცირე კოლექტივის წევრები და სხვა მოწინავე ამხანაგები. X.

მუშათა შორის

თფილისი. 2 მარტს შესდგა ქალაქ თფილისის მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეების კავშირის დელეგატების საბჭოს ყრილობა, ყრილობას განსახილველი ჰქონდა შემდეგი კითხვები: 1) შრომის ხელშეკრულების კანონი, 2) სატარიფო პალატა, 3) დელეგატების არჩევა საქართველოს სახელმწიფო მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეების ყრილობაზე 15 მარტს, 4) აღმასრულებელი კომიტეტის დამატებითი არჩევნები, 5) დახმარება გორს, 6) 20,000 მან. გადადება ყრილობის მოსაწყობ ხარჯების დასაფარავათ.

1 ლ კითხვაზე ყრილობამ დაადგინა, რომ იგი სავსებით იზიარებს დამფუძნებელი კრების შრომის კომისიის მეორეთ გამოთქმულ აზრს, რომ შრომის კანონი უნდა გავრცელდეს ყველა სახელმწიფოსა და მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეებზე, გარდა ადმინისტრატიული პირებისა.

სცნობს რა სატარიფო პალატის სასურველ ორგანიზაციათ, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე მუშათა ორგანიზაციებისათვის, მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს პალატის არსებობას და მისი გადაწყვეტილების გავრცელებას ყველა მუშა-მოსამსახურეებზე, გარდა ადმინისტრატიული პირებისა.

არჩეულ იქნა 25 დელეგატი 15 მარტს დანიშნულ ყრილობაზე გასაგზავნათ, რომელიც მოხდება თფილისში.

არჩეულ იქნა 8 წევრი აღმასრულებელ კომიტეტში.

ყრილობამ დაადგინა გადაიდოს 10,000 მან. და ერთი დღის ჯამაგირი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ აგრეთვე ერთი დღის ულუფა პური.

ყრილობამ გადასდო 20,000 მან. მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეების ყრილობის მოსაწყობათ.

ა. ტოფაძე.

პროვინცია

ხონი. მთელ ხონის რაიონში საზოგადოთ დიდი მიწის სიმცირეა. ჩამოსართმევი მიწები შედარებით ცოტაა, მართალი რომ თქვას კაცმა, მიწის რეფორმა სხვა რაიონებთან შედარებით ჯერ აქ არც კი შეიძლება სატარიფოდ ჩავთვალოთ: მოხდა მხოლოდ ზედაპირი გადაფურცვლა და მეტი არაფერი. მიწის სიმცირეს მწვავეთ გრძნობს გლეხობა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რაიმე გზით სამართლიანად გაანაწილოს ერთმანეთ შორის ის მცირედი მიწა, რომელსაც მემამულენი გასცემენ დასამუშავებლად. ამ მიზეზის სისრულეში მოსაყვანად მთელ ხონში დგება მცირე მიწა-წყლიან გლეხთა პროფესიონალური კავშირები, რომელთა მთავარი მიზანია გასაცემ მიწების თავიანთ წევრებს სათესლე სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეულის თესლი, დასამუშავებელი იარაღი, დაეხმარონ უხარ კამეჩო გლეხებს დათესვაში და სხვ. ეს მოძრაობა წმინდა კლასიურია, ერთის მხრივ დგება სოფლის ღარიბ-ღატაკი და მეორეს მხრივ სოფლის შეძლებული ელემენტი, ერთის სიტყვით ჩვენ მოწამე ვართ სოფლის ცხოვრების ქონების მიხედვით დარაზმვისა და დიფერენციაციის. გარდა ხონის რაიონისა ამგვარ მოძრაობას ადგილი სხვაგანაც ექნება და ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა შესაფერი მუშაობა აწარმოონ. ხონის რაიონული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი სწორეთ ანგარიშიანად უყურებს ამ კითხვას და მოძრაობის ხელმძღვანელიც ის არის. კავშირები დგანან უპარტიობის პლატფორმაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიმპატიურ მოვლენას სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან ყველა ჩვენი დაწესებულებები და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ როგორც თესლის, ისე იარაღების მიწოდების საქმეში.

რამდენიმე ხნის წინად მოხდა ადგილობრივ კოოპერატივის წლიური კრება, მოგებამ სამას ათასს გადააჭარბა; ამ თანხის დიდი ნაწილი სავაჭრო კაპიტალს დაემატა, კულტურულ საქმეებზე თითქმის არაფერი გადადებულა. ამ გარემოებამ კრებაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, იყვნენ პირები, რომელნიც მოითხოვდნენ, რომ კოოპერატივს გადაედო ცოტათი თუ მეტათი საგრძნობი თანხა სახალხო სახლის ასაშენებლად. ამ აზრის წინააღმდეგ სასტიკათ გაილაშქრა როგორც სარევიზიო კომისიამ, ისე გამგეობამ. საწარმოო კაპიტალი თითონ ჩვენ გვჭირდება, სახალხო სახლს ჩვენი წვლილით მაინც ვერ ავაშენებთ და ტყუილა არ ღირს კოოპერატივის დასუსტებაო; ხოლო როცა დავინახავთ, რომ სახალხო სახლი შენდება. მაშინ ჩვენც გავიღებთ ფულსო. ხალხში საზოგადოებრივი ინსტიქტი ნაკლებად არის განვითარებული და ასეთი აზრები, რასაკვირველია, ნიადაგს პოულობს: კრებამ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა სახალხო სახლი ჯერჯერობით გვერდზე გადაიდოთ.. უკეთესად, კი არ დავიწყებოთ სავსებით, არამედ ცხრაასი მანეთი მიეცათ. უნდა პირდაპირ ვსთქვათ, რომ ეს პირდაპირ მასხარად აგდებაა სახალხო სახლის იდეის. თუ ვერას აძლევდნენ, კაპეიკიც კი არ უნდა მიეცათ, თორემ დღევანდელი 900 მანეთი რა არის. ხოლო ის საბუთები, რომელიც სარევიზიო კომისიამ და სხვებმა წამოაყენეს სახალხო სახლისთვის გადადების წინააღმდეგ, უსუსურია და ოდნავ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღევანდელ კრიზისის დროს დიდი საფრთხე მოელის კოოპერატივებს თანხის სიმცირის ნიადაგზე, მაგრამ კოოპერაციას იქეთის მხრივაც დიდი საფრთხე მოელის. ამიტომ დღეს კოოპერაცია უნდა მუშაობდეს ორ ფრონტზე: აძლიერებდეს თანხას და მოღვაწეობდეს კულტურულადაც. ეს ორმაგი მუშაობა განუშორებლად უნდა სწარმოებდეს, თორემ ისე კოოპერატივი თავის მიზანს ვერ მიაღწევს. ხოლო მისი მიზანია არა მარტო საქონლით ვაჭრობა, არამედ იდეური მუშაობაც. ხონის კოოპერატივი ამ უკანასკნელის მხრივ მოიკოჭლებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ დაწესებულების მესვეურნი სხვა პირებსაც რომ გამოელაპარაკებოდნენ, უთუოდ აზრს შეიცვლიდნენ და სახალხო სახლის სასარგებლოთაც უფრო მეტ თანხას გადადებდნენ. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელი ჩვენი დაწესებულებები ცალ ცალკე მუშაობენ, ერთმანეთს არ ეკარებიან და თითოეული გამგეობა თუ ხელმძღვანელი ორგანიზაცია საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს. ეს მოვლენა უთუოდ ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს და ახლო მომავალში უნდა შევეცადოთ გავაერთიანოთ და ერთმანეთს დავუახლოვოთ ჩვენი დაბა ქალაქების საზოგადო დაწესებულებები. ხონში, მაგ., სახალხო სახლის ასაშენებლად მუშაობს ქალაქის გამგეობა და დრამატიული საზოგადოებაც, განა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ყველა მათი საქმიანობა ამ ნიადაგზე გაერთიანებულიყო და ერთი მეორესთან შეთანხმებით ემუშავნათ? ასეთ შემთხვევაში დარწმუნებული ვართ, რომ ზევით მოყვანილ არასასურველ ფაქტსაც არ ექნებოდა ადგილი.

კიდევ მინდა საზოგადო დაწესებულებათა მოქმედების შეთანხმების შესახებ ვსთქვა ორიოდე მოსაზრება. აქ არსებობს წ. კ. საზოგადოების განყოფილება, დრამატ. საზოგადოება და ქალთა წრე. მათი მიზანი კულტურის სამსახურია. რაზე არ შეიძლება მათი გაერთიანება უფრო ფართო და ერთ კულტურულ საზოგადოებაში, რომელსაც ექნება ცალცალკე სექციები: დრამატიული, საქველმოქმედო და სხვ. პროვინციაში ისედაც საშინელი სიძვირეა ინტელიგენტური ძალების და თუ კიდევ ასე დავქსაქსებით, რა უნდა იქნას! ამ დაქსაქსულობის მიზეზია, რომ ეს საზოგადოებები თითქმის არას აკეთებენ (ქალთა წრის გამოკლებით). ავიღოთ მაგალითად, წ. კ. საზოგადოება. ეს ნამდვილი მკვდარი ორგანიზაციაა: აქვს ერთი სამკითხველო და ისიც ისეთ ადგილას არის, რომ კაცი არ იკითხავს. წიგნები დაბნეული და არეული აქვს, ასე გასინჯეთ კატალოგიც კი არ გააჩნიათ. ერთ დროს ამ ბიბლიოთეკას გვარიანათ მოეპოვებოდა საკითხავი წიგნები, დღეს კი ყველაფერი დაუბნევია. ვისთვის რა საჭიროა ასეთი მკვდარი საზოგადოების არსებობა? მოვუწოდებ ადგილობრივ ინტელიგენციას ჩაუკვირდეს ამ მოვლენას და ახლო მომავალში შეეცადოს ხონის სხვადასხვა საზოგადოების ერთ კულტურულ ერთეულში თავმოყრას.

ადგილობრივი ქალაქის თვითმმართველობა ნელნელა აწესრიგებს მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ... ყოველივე ეს კუს ნაბიჯით მიდის წინ. გვაქვს, მაგ. ტელეფონი, შეერთებული ვართ ქუთაისთან და სამტრედიასთან, მაგრამ ყოველივე ეს უფრო ქაღალდზეა, ვინემ სინამდვილეში: ტელეფონები ისე ცუდად არის მოწყობილი, რომ დიდ ხელოვნებად უნდა ჩავთვალოთ, თუ თვეში ერთხელ ვინმეს გამოელაპარაკე,—სულ გაფუჭებულა, ასწორებენ და სხვა. ესეც რომ არ იყოს ადგილობრივი ცენტრალური სადგური (ფოსტაში) მთელი საათობით რეკავს, შემდეგ თუ გაგცემენ პასუხს. ტელეფონს არც ავტომობილთა მოძრაობა გაუსწრებს წინ. თავგასულ შოფერების წყალობით, რომლებიც აშკარად ეწევიან ქურდობას, ხუთი მშვენიერი ავტომობილი სულ რაღაც ორ თვეში გაფუჭდა. გვეგონა თავშეებულ მეეტლეებს თავს დავაღწევდით, მაგრამ მგონი ისევ ამ ფაეტონების საჯიჯგნი გავხდით. ვერც ადმინისტრაცია გვყავს მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი: თუ რამე დაგეკარგა, თითონ შენ უნდა მონახო, თორემ ის თავს არავინ იტკივებს. იყო ასეთი შემთხვევაც: მილიციონერების თვალწინ ღამით გატეხეს მაღაზია, ქურდი ეძებეს და ვერ იპოვეს. ადმინისტრაციის უფროსი კი იმდენად ჭკუის კოლოფი გამოდგა, რომ თითონ დამკარგველს დაუწყო ჩხრეკა— შენ მოიპარეო შენს თავსო. ეს [illegible] კი ასეთი პიროვნება არ იყო. ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯები ხალხის თვალში სახელს უტეხს მთავრობას და საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას ვისგანაც ჯერ არს.

პრაგმატიკოსი.

სათვის სათანადო პრინციპებს აყენებს გერმანიის რესპუბლიკა.

საკუთრება და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა და კავშირთა სხვა უფლებანი მათ კულტურულ და საქველმოქმედო მიზნით შექმნილ—საქმეებისა, დაწესებულებებისა და ქონებისა უზრუნველყოფილია.

მუხლი 139.

კვირა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული უქმე დღეები კანონით დაცულ უნდა იყვნენ, როგორც დღეები მუშაობისაგან დასვენებისა და სულიერად ამაღლებისა.

მუხლი 140.

სამხედრო საქმეში მყოფთ თავიანთ სარწმუნოებრივ მოვალეობათა აღსასრულებლად უნდა მიეცეთ საჭირო თავისუფალი დრო.

მუხლი 141.

რამდენად ღვთის სამსახურის მოთხოვნილება არსებობს ჯარში, საავადმყოფოებში, საპატიმროებში ან სხვა საზოგადო დაწესებულებებში, სარწმუნოებრივი საზოგადოებანი დაშვებულ უნდა იქნენ სათანადო წესების შესასრულებლად; იძულებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

თავი მეოთხე.

სწავლა განათლება და სკოლა.

მუხლი 142.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება—თავისუფალია. სახელმწიფო მფარველობს მათ და მონაწილეობას იღებს მათზე მზრუნველობის საქმეში.

მუხლი 143.

მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდაზე საზრუნავად უნდა არსებობდეს საზოგადო-სახელმწიფო დაწესებულებანი. მათ შესაქმნელად ერთად მოქმედებენ რესპუბლიკა, მისი შემდგენელი სახელმწიფონი და თვითმართველობანი.

მასწავლებელთა განათლების საქმის მოწესრიგება მთლიანი უნდა იყოს მთელ რესპუბლიკისთვის თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც საერთოდ მიღებულია უმაღლეს სწავლა-განათლებისათვის.

საზოგადო სკოლების მასწავლებელთ აქვთ უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო მოხელეთა,

მუხლი 144.

მთელი სასკოლო საქმე ექვემდებარება სახელმწიფოს ზედამხედველობას; მას შეუძლია ამაში მონაწილეობა მიაღებინოს თვითმართველობებს.

სასკოლო ზედამხედველობას ასრულებენ უმაღლეს თანამდებობებზე მომუშავე და სპეციალურად მომზადებული მოხელენი.

მუხლი 145.

არსებობს საყოველთაო, სავალდებულო სწავლა-განათლება. მას ემსახურება ძირითადათ სულ მცირე—რვა წლიანი სახალხო სკოლა და მასთან დართული სკოლა შემდეგი, თანდათანობითი სწავლა-განათლებისა სრულ თვრამეტ წლამდე სწავლება და სასწავლო ნივთები ამ უკანასკნელში და სახალხო სკოლაში—უფასოა.

მუხლი 146.

საზოგადო სასკოლო საქმე ერთი ორგანიული მთელი უნდა იყოს. ერთ—ყველასათვის საერთო—ძირითად სკოლაზე, როგორც საფუძველზე, შენდება საშუალო და უმაღლესი სკოლა.

ორგანიული მთლიან სკოლის შექმნაში სახელმძღვანელოთ მიღებულ უნდა იქნას მოწოდებათა სხვადასხვაობა, ბავშვის განსაზღვრულ სკოლაში მიღებისათვის მისი ნიჭი და მისწრაფება, არა სოციალური ან საზოგადოებრივი მდგომარეობა და სარწმუნოება მისი მშობლებისა.

თვითმართველობათა ფარგლებში—სწავლა აღზრდისათვის გამზადებულთა მოთხოვნით უნდა მოეწყონ მათი სარწმუნოების და მსოფლმხედველობის სახალხო სკოლები, რამდენად ამით არ ბრკოლდება საერთოდ მოწყობილი სასკოლო საქმე (1-ლ აბზაცის მიხედვით). მათ სურვილებს შეძლებისდა გვარად ანგარიში უნდა გაეწიოს. დაწვრილებით განსაზღვრავს შემადგენელ სახელმწიფოთა კანონმდებლობა გერმ. რესპუბლიკის კანონის პრინციპების თანახმად.

საშუალო და უმაღლეს სკოლაში ქონებრივად ნაკლებ უზრუნველყოფილთა შესვლის გასაადვილებლად რესპუბლიკამ, შემადგენელ სახელმწიფოებმა და თვითმართველობებმა უნდა გაიღონ დახმარება, განსაკუთრებით იმ მშობლებისათვის, რომელთა ბავშვები საშუალო და უმაღლეს სკოლებისათვის შესაფერი და ღირსნი არიან, დახმარება უნდა ეძლეოდეს სწავლის დამთავრებამდე.

მუხლი 147.

კერძო სკოლები, თუ ისინი სწევენ მაგიერობას სახელმწიფო, საზოგადო სკოლებისას, საჭიროებენ ნებართვას სახელმწიფოსას და ექვემდებარებიან შემადგენელ სახელმწიფოს კანონებს, ნებართვა უნდა მიეცეს, თუ კერძო სკოლებში მოწყობილება და სწავლის მიზნები, აგრეთვე მასწავლებელთა სამეცნიერო განათლება და მომზადება არ ჩამორჩება სახელმწიფო სკოლებს, და თუ არ ხდება მოწაფეთა დანაწილება მათი მშობლების ქონებრივ შეძლების მიხედვით. არ შეიძლება ნებართვის მიცემა, თუ მასწავლებელთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა სათანადოდ უზრუნველყოფილი არ იქნება.

კერძო სახალხო სკოლები მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ სწავლისათვის გამზადებულთა უმცირესობისათვის,— რომელთა სურვილს 146 მუხლის მე-2 აბზ. ძალით ანგარიში უნდა გაეწიოს,— თვითმართველობის ფარგლებში არ არსებობს სახელმწიფო სახალხო სკოლა მათი სარწმუნოებისა ან მსოფლმხედველობისა, და თუ განათლების უწყებას ამას უკარნახებს განსაკუთრებული პედაგოგიური ინტერესები.

კერძო მოსამზადებელი სკოლები—გაუქმებულია. კერძო სკოლებს, რომლებიც სახელმწიფო სკოლების მაგიერობას არ ეწევიან, რჩებათ არსებული უფლება.

მუხლი 148.

ზნეობრივი აღზრდა, სამოქალაქო აზრი და შეხედულება, პირადი და საპროფესიო საქმიანობა ყველა სკოლებში [illegible] უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველივე ამას მიეცეს გერმანულ-ეროვნული და ხალხთა შორის მშვიდობიანობის და ძმობის დამყარების ხასიათი.

სახელმწიფო სკოლებში სწავლების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ იქნას შეურაცყოფილი სხვა გვარად მოაზროვნეთა გრძნობები.

სამოქალაქო უფლების მეცნიერება და ფიზიკურ შრომის სწავლება—სკოლების სასწავლო საგნებია. სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თვითეული მოწაფე იღებს კონსტიტუციის ერთ ეგზემპლიარს.

რესპუბლიკა, შემადგენელი სახელმწიფონი და თვითმართველობანი ხელს უნდა უწყობდნენ სახალხო განათლების საქმეს უმაღლეს სახალხო სკოლებითურთ.

მუხლი 149.

სამღვთო სჯული ითვლება სკოლებში ჩვეულებრივ სასწავლო საგნათ, გარდა სარწმუნოება თავისუფალ (საერო) სკოლებისა.

მისი სწავლების მოწესრიგება ხდება სასკოლო კანონმდებლობის ფარგლებში. სამღვთო სჯული ისწავლება თანახმად სათანადო სარწმუნოებრივ საზოგადოების ძირითად პრინციპებისა—სახელმწიფოს ზედამხედველობის უფლებისათვის ვნების მიუყენებლად.

სამღვთო სჯულის სწავლება და საეკლესიო წესების შესრულება დამოკიდებულია მასწავლებელთა ნებაყოფლობაზე. ხოლო თანხმობა სარწმუნოებრივ საგნების სწავლებისა და საეკლესიო მოქმედებისა — იმის ნებაყოფლობაზე, რომელიც განაგებს ბავშვის სარწმუნოებრივ აღზრდის საქმეს.

ღვთისმეტყველების (თეოლოგიური) ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში რჩებიან.

მუხლი 150.

ხელოვნების, ისტორიის და ბუნების ნაშთნი და ძეგლნი სახელმწიფოს მფარველობის და მზრუნველობის ქვეშაა.

რესპუბლიკას მოვალეობას შეადგენს იზრუნოს იმის შესახებ, რომ გერმანიის ხელოვნების კუთვნილი ნაშთები საზღვარ-გარედ გატანილ არ იქნას.

ფოსტა

აბაშა. შალვა მიქაძეს. სამგლოვიარო განცხადება არ შეგვიძლია გამოგზავნეთ ხელმოწერით.

განცხადებანი

დაიკარგა

სასურსათო ბარათი სახელმწიფო მოხელეების ფონდიდან მოცემული დავითი ამბროსის ძე გაწერელიას სახელზე, რომელიც დღიდან გამოცხადებისა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
(გ.—1—1)

ექიმი
ნ. დ. ცურაშვილი
იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. [illegible] დღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. 119—თ.)

ექიმი
დიმ. კოსტ. [illegible]
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 581)

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების: [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 27, ალექსანდრის ბაღის ახლოს.

ექიმი
კ. ბ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, შლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. შლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 22. ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ექიმობს უფასოთ. (თ 616)

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—6 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. ([illegible] ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

[illegible]
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წლების, შლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფრიდმანით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუ. 60)

კერძო სამკურნალო
ქ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-თეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

კბილის ექიმი
ს. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 2321)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 33.

[illegible], [illegible] შესახვევი № 1.